ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

შაბათი 25 აგვისტო № 91 (11577) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 5 კაპ.





ვაცოცხლებთ ადრე გავრცელებულ და ამ ბოლო დროს დავიწყებულ რუბრიკას

## სასარგებლო რჩევა-დარიგებანი

მურთაზ აბაშიძის ნახატი.

## საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინების“

# მიმართვა

### საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ შოთა გორგოძეს

გთხოვთ, მარნეულის რაიონის სოფელ ახკერპში დაუყოვნებლივ გაიხსნას მილიციის პუნქტი, ვინაიდან:

1. დღე-დღეობით ჩვენმა მეზობელმა ხალხებმა ურთიერთობის გარკვევა საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყეს იარაღის საშუალებით, რასაც მოჰყვა მსხვერპლი და რამაც ხელი შეუწყო საქართველოში მდგომარეობის დესტაბილიზაციას.

2. მარნეულის რაიონის სოფელ ახკერპის მიდამოებში, საქართველო-სომხეთის საზღვარზე გამავალ სატრანსპორტო მაგისტრალზე მანქანების მოძრაობის შედეგად საქართველოდან შემოწმების გარეშე შემოდის და გადის ნედლეული.

3. ახკერპში ქართული სოფლის მშენებლობისათვის აუცილებელია კეთილმოსურნე ატმოსფერო.

## საქართველოს მიწათმოქმედთა ასოციაციის პრეზიდიუმისა და საქართველოს მიწათმოქმედთა პარტიის მთავარი კომიტეტის

# განცხადება

საქართველოში ახალ ფაზაში შედის ეროვნული მოძრაობა, მოახლოებულია საქართველოსათვის დიდმნიშვნელოვანი, უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნები, 22 აგვისტოს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ხევსურეთში სათემო საბჭოების შექმნისა და მიწის სათემო მფლობელობაში გადაცემის პროგრამა, რაც გზას უხსნის დიდ აგრარულ და პოლიტიკურ ცვლილებათა პროცესებს საქართველოში... ამ და სხვა მრავალი საყურადღებო მოვლენის გამო საქართველოს მიწათმოქმედთა ასოციაციის პრეზიდიუმი და საქართველოს მიწათმოქმედთა პარტიის მთავარი კომიტეტი 1990 წლის 28 აგვისტოს, დღის 12 საათზე (ბარნოვის 170-ში) იწვევს გაერთიანებულ საგანგებო კონფერენციას.

დღის წესრიგშია:

1. საქართველოს მიწათმოქმედთა ასოციაციისა და საქართველოს მიწათმოქმედთა პარტიის გაერთიანებისა და სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის ჩამოყალიბების საკითხი.
2. სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის პროგრამისა და წესდების განხილვა.
3. მმართველი ორგანოების არჩევა.
4. სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის რეგისტრაციის საკითხი უზენაესი საბჭოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.
5. სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი და სხვა.

კონფერენციის დელეგატებსა და სტუმრებს ველით ბარნოვის 170-ში, ოთახი 204, 12 საათისათვის.

# პოლიტიკური ეკონომია თუ ეკონომიკური თეორიის საფუძვლები?

საერთაშორისო არენაზე მიმდინარე მოვლენებმა ერთბაშად მოითხოვა არსებითი ცვლილებები ჩვენი ყოფა-ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროში. ასე ითქმის სწავლა-აღზრდის საკითხებზეც, კერძოდ, საზოგადოებრივი მეცნიერების ერთ-ერთ დარგზე — პოლიტიკურ ეკონომიაზე.

ახლა ქართველი პოლიტეკონომისტები დაინტერესებულ მოსწავლე-ახალგაზრდობასთან ერთად, იმისათვის იღვწიან, რომ ამ საგნის სწავლება, რაც შეიძლება მალე დაუქვემდებარდეს რეალობებს — თანამედროვე მსოფლიო გარდაქმნებს. აქედან გამომდინარე, მეტად საჭირო და აუცილებელი გახდა სათანადო პროგრამები არსებითად გავანთავისუფლოთ თეორიული დოგმებისაგან, სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებს მივცეთ ხელახალი შეფასება, შევცვალოთ სწავლების სტილი და მეთოდები.

ჩვენ დემოკრატიული, ჰუმანური სოციალისტური არჩევის მომხრე ვართ, მიგვაჩნია, რომ არ შეიძლება არც პროგრესულ ცვლილებათა კურსიდან კონსერვატიული გადახვევა და არც სოციალისტური არჩევის ხელაღებითი რევიზია.

ვეყრდნობით რა მიმდინარე უახლესი მოვლენების შედეგთა შესაძლო ანალიზს, მკითხველს ვთავაზობთ ძირითად ალტერნატიულ საკითხებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ახალი პროგრამების დანერგვას უმაღლეს სასწავლებლებში.

ამასთან ვერ ვიზიარებთ იმ სწავლულთა და პრაქტიკოსთა მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ შეიცვალოს პოლიტიკური ეკონომიის სახელწოდება „ეკონომიკური თეორიის საფუძვლებით“. იგი იყო, არის და კვლავაც იქნება წარმოებით ურთიერთობათა შემსწავლელი მეცნიერება.

საგნის ალტერნატიული სტრუქტურა (სქემა) შემდეგნაირად გვესახება:

პოლიტიკური ეკონომიის საგანი. კანონთა და კატეგორიათა სისტემა; წარმოების წესი და მისი განვითარების სიმწიფის სტადიები; საკუთრება: ძირითადი ფორმები და რეალიზაციის კანონზომიერებანი; საქონელი და ფული. ემისია, დევალვაცია, ინფლაცია, კონვერტირება, ერთობლივი პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი. დაგროვება და მოხმარება; კვლავწარმოება: ტიპები, პირობები, ტემპები და პროპორციები; აგრარული და საადგილმამულო ურთიერთობანი. მიწის ფასი, იჯარა, რენტა; ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ფაქტორები (ძალები); მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. შრომითი რესურსები, დასაქმება; სამეურნეო მექანიზმი. მენეჯერიზმი. წარმოების ეფექტურობა; განაწილებითი ურთიერთობა. ცხოვრების დონე; ფინანსები და კრედიტი. ბანკები; საბაზრო ურთიერთობა. მარკეტინგი; ეკონომიკურ და სოციალურ მოვლენათა ერთიანობა და ურთიერთდამოკიდებულება; მსოფლიო მეურნეობის გლობალური პრობლემები. კონვერგენცია; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა. საგარეო-ეკონომიკური კავშირები; საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

ცნობისათვის: მკითხველს მინდა შევთავაზო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ 1935 წელს გამოქვეყნებული „პოლიტიკური ეკონომიის პროგრამა“, რომელიც შემდეგ 19 თემას მოიცავდა (სტილი დაცულია):

1. ეკონომიკური იდეები ანტიკურ ქვეყნებში; 2. ეკონომიკური იდეები საშუალო საუკუნეებში; 3. მერკანტილიზმი; 4. მერკანტილიზმის დაშლა და კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმოშობა; 5. ფიზიოკრატები; 6. ადამ სმიტი; 7. დავით რიკარდო; 8. ვულგარული პოლიტეკონომიის წარმოშობა და კლასიკური სკოლის დაშლა; 9. წვრილბურჟუაზიული და უტოპიური სოციალიზმი; 10. სახელმწიფო სოციალიზმი; 11. მეცნიერული სოციალიზმი; მარქსი და ენგელსი; 12. ისტორიული სკოლა; 13. ავსტრიული სკოლა; 14. ინგლისურ-ამერიკული სკოლა; 14. სოციალური მიმართულება; 16. მარქსიზმის რევიზია; ვულგარიზაცია და დამახინჯება; 17. ეკონომიკური აზროვნების სხვადასხვა მიმართულება რუსეთში; 18. ფაშიზმი; 19. ლენინი და სტალინი.

კომენტარის გარეშე დავძენ, რომ ამ პროგრამის ავტორი იყო მეტად პოპულარული ლექტორი, ქართველი მეცნიერი ბიძინა რამიშვილი.

ეს ორიგინალური პროგრამა ერთობ განსხვავებულია როზენბერგის ავტორობით იმ დროს არსებული სახელმძღვანელოს შინაარსისაგან.

**კლიმენტი ელიზბარაშვილი,**
**თსუ პოლიტიკური ეკონომიკის კათედრის დოცენტი.**

**ავტორის თხოვნით, ჰონორარი გადაირიცხება მერაბ კოსტავას ფონდში.**

# წერილი რედაქციას

**აჭარის** ავტონომია რომ ბოლშევიკების მიერ ხელოვნურად შეკოწიწებული აქტია 1921 წელს და აქამდე იყო გასაუქმებელი, ამაზე დღეს ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ თუ აქამდე არ დაისვა ეს საკითხი, ეს, უბრალოდ, იმ მიზეზის გამო, რომ ამ საკითხს, ისე როგორც ბევრ სხვას და საერთოდ აზრის თავისუფალ გამოთქმას, ტაბუ ჰქონდა დადებული.

19 აპრილს „ახალგაზრდა ივერიელმა“ გამოაქვეყნა გამოხმაურებები ტ. ფუტკარაძის წერილზე: „ვის სჭირდება ავტონომია?“, რომელიც გასული წლის 17 მარტს დაიბეჭდა. წერილის ავტორები (და არა მარტო ისინი) თვლიან, რომ აჭარის ავტონომიის საკითხი რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყდეს. მაგრამ ეს ილუზიაა, და აი რატომ:

აჭარას უზარმაზარი მმართველობითი აპარატი აქვს, რომელიც სისხლხორცეულად დაინტერესებულია ავტონომიის შენარჩუნებით. მათი ძალა და ზეგავლენა მოსახლეობაზე დიდია და ცხადია, ისინი ყოველი ღონისძიებით შეეცდებიან ავტონომიის მომხრეთა რაოდენობის გადიდებას და უნდა ვივარაუდოთ, რომ მიაღწევენ კიდეც ამას. ეს ერთი, მეორეც, მხედველობაშია მისაღები ჩვენი მოსახლეობის პოლიტიზაციის დონე. აჭარის მოსახლეობის უმრავლესობა, რატომღაც, დღემდე დარწმუნებულია, რომ აჭარის ავტონომია მათი ინტერესების გათვალისწინებით შეიქმნა და იგი მას დღესაც რაღაც სასარგებლოს აძლევს. მთელი 70 წლის მანძილზე საბჭოური იდეოლოგია ამ მიმართებით მუშაობდა, მალავდა და აყალბებდა ავტონომიის შექმნის ნამდვილ მიზეზებს და ახლა, ასე ერთბაშად, ძნელია ასეთ შეხედულებაზე უარის თქმა. ამიტომ მე დარწმუნებული ვარ, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი, თუ რეფერენდუმი მოეწყო, ავტონომიის შენარჩუნებას დაუჭერს მხარს.

ცხადია, არც მოსკოვი, არც თურქეთი არ დათანხმდება ავტონომიის გაუქმებას. გამოსავალი, ჩემის აზრით, ის არის, რომ საქართველოს ახლადარჩეული უზენაესი საბჭო უბრალოდ, ანულირებულად გამოაცხადებს ყველა ხელშეკრულებას, რომელიც სსრ კავშირმა დადო საზღვარგარეთის ქვეყნებთან და რომლებიც საქართველოს ინტერესების სფეროს ეხება, აგრეთვე ანექსირებული საქართველოს მთავრობასთან. ამის საფუძველზე ანულირებულად იქნება გამოცხადებული აგრეთვე რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულება.

**ნოდარ ბათნაძე,**
**ჟურნალისტი.**

ქედის რაიონი.
1990 წ. 20 აპრილი.

**1908 წლის** 1 მაისიდან ქ. პარიზში ქართულ ენაზე გამოსვლა დაიწყო რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების ორგანომ, არალეგალურმა გაზეთმა „საქართველომ“, რომელიც 1905 წლამდე გამოდიოდა. სულ გამოვიდა 25 ნომერი. „საქართველოს“ ჭეშმარიტი ღვაწლი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, სამწუხაროდ დღემდე უკიდურესად დაკნინებული და გაუკუღმართებულია. გაზეთი არალეგალურად ვრცელდებოდა საქართველოში.

გაზეთ „საქართველოს“ გამოცემისა და გაძღოლის საქმე მთლიანად თავს იდო დღეისათვის ჯერ კიდევ მივიწყებულმა, გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ გიორგი დეკანოზიშვილმა. 1902 წელს იგი ჩავიდა პარიზში და ენერგიულად შეუდგა გაზეთის გამოცემის იდეის ხორცშესხმას. გ. დეკანოზიშვილს მხარში ედგა მისი მეუღლე — ეროვნებით ფრანგი ქალი, ქმრის მსგავსად დაუზარელი და ერთგული მუშაკი ანრიეტა ფრენუა. უწინარეს ყოვლისა გ. დეკანოზიშვილმა ჩამოასხმევინა ქართული ასოები, რომლებსაც „პარიზული“ დაერქვა. გაზეთს რედაქტორობდა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და დემოკრატი არჩილ ჯორჯაძე. ის იყო გაზეთის თითქმის ყოველი პროგრამული წერილის ავტორი.

„საქართველოს“ პირველივე ნომერში ძირითადად ჩამოყალიბდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ეროვნული მრწამსი, რაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისადმი ახლებურ მიდგომაში გამოიხატა. ეს მრწამსი უმთავრესად რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაციის ფარგლებში დარჩენასა და შინაურ საქმეებში სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნაში მდგომარეობდა, ამასთან რუსეთის სახელმწიფო ფედერაციულად უნდა მოწყობილიყო, რომელშიც გაერთიანდებოდა ახალი საქართველო ავტონომიის უფლებით. ავტონომიის საფუძველი უნდა ყოფილიყო 1783 წლის ტრაქტატი მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი საქართველოს სამეფოს აღდგენას გამორიცხავდნენ, რამდენადაც როგორც ქვემოთ დავინახავთ ქართველი ხალხი მათი აზრით, საკმაოდ იყო მომწიფებული პოლიტიკური თვითმმართველობისათვის.

გაზეთის პუბლიცისტები რადიკალურად აყენებდნენ საკითხს საქართველოს ეროვნული თავისუფლების შესახებ. „მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვს. ასი წელიწადი მონურისა და შეურაცხყოფილის სიცოცხლისა, — წერდა გაზეთი — ძნელი და მძიმე განსაცდელი ყოფილა. გვეყო, რაც გადაგვხდენია და მოგვითმენია“ (გაზ. „საქართველო“ № 1, 1 მაისი, 1903 წ.).

„საქართველოს“ პუბლიცისტები თვლიდნენ, რომ ეროვნული თავისუფლება თავისთავად არ იქნებოდა მოპოვებული, რამდენადაც ჯერ ერთი ამისათვის ცარიზმის ძალმომრეობისა და უსამართლობის გამომჟღავნება იყო საჭირო და მეორე, მთავარი მათი აზრით იყო ქართველი ხალხის მომავალი სოციალური ორგანიზაციის აუცილებლობის დასაბუთება. მათი აზრით, საქართველოს ეროვნული თავისუფლების მოპოვება შეიძლებოდა მხოლოდ „პოლიტიკური და ეროვნული დაწესებულებების“ შექმნით.

რუსეთის ოპოზიციასთან კავშირის დამყარების მიზნით გაზეთში გამოქვეყნდა „ღია წერილი რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა მიმართ“. გაზეთის აზრით, რუსეთში არსებულ ოპოზიციურ მოძრაობას ორნაირი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთი მხრივ, იგი მიზნად ისახავდა რუსეთის ხალხის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განთავისუფლებას, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უწყობდა რუსეთის იმპერიის ფარგლებში მყოფ ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

„საქართველოელები“ წუხდნენ იმის გამო, რომ რუსეთის ოპოზიციურ წრეებში მცირე ერთაგან ასახელებდნენ მხოლოდ პოლონელებს, ფინელებს, სხვებს და არასოდეს ქართველებს. ამის მიზეზად მათ მიაჩნდათ ქართველთა მორჩილება, რომლებიც დუმილს ამჯობინებდნენ. ხოლო „მორჩილება და დუმილი“ მათი აზრით სხვებს ულონობის, არარაობისა და კმაყოფილების ნიშნად ეჩვენებოდათ, ქართული კითხვა ოპოზიციისათვის არ არსებობდა, იგი არც იცნობდა საქართველოს და არც იყო ამიტომ დარწმუნებული, რომ კულტურული ცხოვრებისათვის ქართველებსაც ღონე შესწევდათ და ეროვნული ვინაობის შენარჩუნებაც შეეძლოთ.

„საქართველოელების“ აზრით, გარემოება უკვე შეცვლილი იყო და რისი თქმაც ადრე არ შეიძლებოდა, ახლა მისთვის პირობები არსებობდა. მათი მიხედვით საქართველოში უკვე ჯეროვნად იყო მომწიფებული ეროვნული ვინაობის დაცვის გრძნობა, ხოლო იმდენად განვითარებული იყო პოლიტიკური თვითშეგნება, რომ ქართველებსაც სხვებივით შეეძლოთ ბრძოლის საერთო ფერხულში ჩაბმა, როგორც რუსეთის განთავისუფლებისათვის, ისე საქართველოს ეროვნული ვინაობის აღდგენისათვის.

„საქართველოელები“ ურჩევდნენ რუსეთის ოპოზიციის მესვეურთ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში ეხელმძღვანელათ იმითაც, რასაც ფიქრობდნენ თვით დაინტერესებულ ერთა რიგებში, რამდენადაც ეროვნული საკითხის სამართლიანად გადაჭრის მიზნით მოთხოვნები, თვით ჩაგრულ ხალხებს უნდა წამოეყენებინათ: „რადგან — აღნიშნავდა „საქართველო“ — ვის შეუძლია, თუ არა თვით დაჩაგრულ ერს უკეთესად იმის თქმა, თუ რა ესაჭიროება, რა არის მისი მოთხოვნილება და როგორია მისი იდეალები“ (იქვე).

მაშასადამე, — დაასკვნიდა გაზეთი, — დაინტერესებულ ერთა სურვილი, სიმართლისაკენ მიდრეკილება და რუსეთის პოლიტიკური ევოლუციის მოთხოვნილება — აი, ის ნიადაგი, რომელზედაც უნდა იყოს აშენებული ეროვნული კითხვა რუსეთში“ (იქვე).

ამიტომ „საქართველოელები“ ცენტრალურ ადგილს ცხადია ეროვნულ საკითხს უთმობდნენ. მათი აზრით, თუ ეს საკითხი ადრე მხოლოდ თეორიულ ხასიათს ატარებდა და განყენებული მსჯელობის საგანი იყო, იმჟამად იგი პრაქტიკული მოქმედების სფეროში იყო მოქცეული. მათი თვალსაზრისით ქართველთა ეროვნულ ვინაობას მხოლოდ ცხოვრების ძირითადი ცვლილებები და ეროვნული ავტონომია დაიცავდა. ისინი თვლიდნენ, რომ ეროვნული ვინაობის დაცვა იყო უწინარეს ყოვლისა დედაენის დაცვა, რომლის გარეშე ხალხს აზრის გამოსათქმელი იარაღი ეკარგებოდა. სწორედ ამიტომ „საქართველოელები“ მოითხოვდნენ არსებული რეჟიმის მოსპობას და საქართველოს ავტონომიისათვის საძირკვლის ჩაყრას. ისინი გადაჭრით აცხადებდნენ: „ჩვენ შევიგენით, რომ მხოლოდ თვით მმართველ დაწესებულებას, ეროვნულ ავტონომიას შეუძლია ჩვენი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს, **ყოველი** ჩვენი ეროვნული **საჭიროებანი** დააკანონოს და საზოგადოდ ჩვენი ვინაობის მფარველად და მცველად შეიქმნეს“ (იქვე № 2, 15 მაისი).

ცხადია, ავტონომიის ასეთნაირად გაფეტიშება და ყოვლისშემძლედ დახატვა და ეროვნული თვითგამორკვევის უფლების ამით ამოწურვა არ იყო მართლზომიერი.

„საქართველოელები“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ მშობლიური ენის დაცვის აუცილებლობას. კრებას კანონის ძალით უნდა ეღიარებინა ქართული ენის უპირატესობა საქართველოში. ქართული ენის ცოდნას საქართველოს ფარგლებში ისინი სავალდებულოდ აღიარებდნენ ყველა საერო და სასულიერო დაწესებულებებში. ამასთან ერთად, ერთა წარმომადგენლებს შორის რაიმე შუღლსა და უსიამოვნებას რომ არ ჰქონოდა ადგილი, უნდა შემოღებულიყო ისეთი წესი, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ კრების სხდომებზე იმ ენაზე გამოსულიყვნენ, რომელზეც უფრო ეხერხებოდათ. მაგრამ ყოველი ასეთი გამოსვლა უსათუოდ თარჯიმანს უნდა ეთარგმნა.

# გაზეთ




# –ს

# საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეალი




ეკლესიის დარგში ისინი პეტერბურგის სინოდისაგან დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. რაც შეეხებოდა საგარეო პოლიტიკის საკითხებს, ისინი რუსეთის ცენტრალური პარლამენტის გამგებლობაში უნდა დარჩენილიყო. ამასთან ავტონომიურ საქართველოს სამხედრო ხარჯებში თავისი წვლილი უნდა გაეღო და საერთო სახელმწიფოს დაცვაში მონაწილეობა უნდა მიეღო. მათი აზრით, სწორედ ამაში უნდა გამოხატულიყო საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა. აქედან გამომდინარე, თავიანთ მთავარ პოლიტიკურ მრწამსად ეროვნული ავტონომია მიაჩნდათ, რომლის შემწეობით შეიძლებოდა ქართველი ხალხის ეროვნული ვინაობის დაცვა, ეკონომიკური მდგომარეობის რადიკალურად შეცვლა დემოკრატიული გარდაქმნების საფუძველზე.

ნიშანდობლივია, რომ ქართველი ხალხის ეროვნულ თავისუფლებას, ისინი სოციალურს უკავშირებდნენ და არ გამორიცხავდნენ ამ უკანასკნელის მნიშვნელობას. „საქართველოელები" პირდაპირ აცხადებდნენ: „ჩვენ გვინდა ეროვნული თავისუფლება, მაგრამ უცხოელებისაგან განთავისუფლება მარტო როდი ქმნის ერის კეთილდღეობას. თავისუფალ ერს თუ შეუძლია არსებობა და განვითარება, ეს განვითარება ვერ გასცდება განსაზღვრულ ადგილს და ერი კიდეც დაიღუპება თუ მასში ზოგიერთი წევრი თავისიანებისაგან იქნებიან დამონებულნი, თუ თვითონ ერში არსებობს უთანასწორობა და უსამართლობა... ამ საგნისათვის, რისთვისაც ვთხოულობთ ერთა თანასწორობას, ერთა დამოუკიდებლობას უნდა მოვითხოვოთ ადამიანთა თანასწორობა, ერთი ადამიანის დამოუკიდებლობა მეორისაგან, თანასწორობა ერის წევრთა შორის იურიდიული, ქონებრივი, სოციალური" (იქვე).

როგორც ვხედავთ, „საქართველოელებს" ეროვნული თავისუფლება არ მიაჩნდათ იმ პანაცეად, რომელიც მთლიანად განკურნავდა ერის ყველა ტკივილს. სოციალურ და ეროვნულ თავისუფლებას ერთმანეთთან ორგანულ კავშირში განიხილავდნენ. ერის დიდი უმრავლესობა არ უნდა დაჩაგრულიყო უმცირესობისაგან. ისინი აცხადებდნენ: „ჩვენ ვერ ვემსახურებით ასეთი ერის თავისუფლებას. ჩვენი მიზანია თავისუფალი ქართველი ერი. მაგრამ ამასთან ჩვენი მიზანია მოსპობა კაპიტალისტური წესწყობილებისა, ქონებრივი უთანასწორობისა და დამყარება სოციალისტური წესწყობილებისა ქართველ ერში" (იქვე). ეს ნათქვამი იყო სტატიაში „გაუმარჯოს თავისუფლებას!" აქვე აღნიშნული იყო, რომ თავისუფალ ქართველ ერს ექნებოდა საშუალება სხვა ერებთან დაახლოებისა და სოლიდარული კავშირისა.

თუ რა საშუალებებით იყო ბრძოლა საჭირო ისტორიულ უფლებათა აღდგენისათვის „საქართველოელები" თვლიდნენ, რომ ამ ბრძოლაში ისინი ვერ გამოიყენებდნენ კანონიერ საშუალებებს, რამდენადაც ქართველი ხალხი სავსებით მოკლებული იყო კანონის მფარველობას, რომ ქართველი ხალხის ძირითადი მოთხოვნები სრულიადაც არ იყო ასახული არსებულ კანონებში. პირიქით, კანონთა მთელი სისტემა საქართველოს ეროვნულ უფლებათა წინააღმდეგ იყო მიმართული. ამიტომ, როგორც ისინი აღიარებდნენ, მათ წინაშე არსებობდა ერთადერთი გზა, გზა „უკანონო", გზა რევოლუციური მოქმედებისა. თუ როგორი უნდა ყოფილიყო იგი და ვის უნდა დაყრდნობოდნენ ავტონომიისათვის ბრძოლაში ისინი ასახელებდნენ სხვადასხვა კლასებსა და სოციალურ ფენებს, ყველაზე საიმედოდ მშრომელი მასები მიაჩნდათ.

„საქართველოელები" არ იზიარებდნენ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც საქართველოში ბურჟუაზია არ არსებობდა და ამდენად არც კლასთა ბრძოლა იყო. ასეთი თვალსაზრისი მათი მიხედვით სიმართლეს იყო მოკლებული. ამასთან აღიარებდნენ, რომ ქართველი ბურჟუაზია ჯერ კიდევ ნორჩი იყო. სამაგიეროდ სხვა ერის ბურჟუაზია იყო ძლიერი. „საქართველოელთა" აზრით მუშათა კლა-

სისათვის სულერთი იყო თუ ვინ იქნებოდა რკინიგზის პატრონი, თვითმპყრობელი მთავრობა, ქართველი თავადაზნაურობის თუ ქართველი ბურჟუაზიის წარმომადგენლები. ისინი აღიარებდნენ, რომ ქართველი მუშის უკმაყოფილება დღეს უცხოეთის და სომხის კაპიტალისტების წინააღმდეგ მიმართული არ დაცხრებოდა.

„საქართველოს" პუბლიცისტები ითვალისწინებდნენ საქართველოს ეკონომიკურ ჩამორჩენილობას, ამიტომ თვლიდნენ, რომ მათ პროგრამას ჯერჯერობით უპირატესად — ზოგადი ხასიათი ექნებოდა, მა-

დლის დაწესება ვაჟრობასა და მრეწველობაში: სავალდებულო დასვენება, მოხუცებული მუშების შენახვა თემის, საზოგადოების ან სახელმწიფოს მიერ; მცირეწლოვანთა და ქალთა შრომის მფარველობა: სავალდებულო და უფასო სწავლა-განათლება.

ამ დემოკრატიულ გარდაქმნებს თავის მხრივ ორი მთავარი შედეგი უნდა მოჰყოლოდა: ქართველი ხალხი თავს დააღწევდა ძველ წესებს და ახალ, კაპიტალისტურ ხანაში მკვიდრად შესდგამდა ფეხს, რაც აუცილებელი იყო თვით კაპიტალიზმისავე წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მეორე მხრივ ახალი ეკონომიკური პირობები წარმოშობდნენ ახალ პოლიტიკურ ფორმას, თავისუფალ ნიადაგს, რომელიც ხელს შეუწყობდა ცხოვრების ყოველმხრივ აღორძინებას.

და ადგილი. მაგალითად ამავე წერილის მიხედვით „ქართველებისა და იმერლების ენა ძლიერ მოაგავს ერთმანეთს, ხოლო ამ ენებს არავითარი მსგავსება არა აქვთ სვანურთან და მეგრულთან". რომ „სვანსა და მეგრელს არც ერთმანეთის ესმით" და არც „იმერულისა და ქართულისა". „მეგრული და სვანური ენები ქართულ ენას უფრო დაშორებულია, ვიდრე პოლონური და ჩეხური რუსულს". საიდუმლო წერილში წამოყენებული იყო მოთხოვნა: „ვიდრე სვანეთსა და სამეგრელოში პირველ დაწყებით და სამრევლო სკოლებს გახსნიდნენ საჭიროა საღვთო წიგნების გადათარგმნა სვანურ და მეგრულ ენებზე" პობედონესცევი სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ადგილობრივი სამღვდელოება სამოსწავლო უწყებას არ უწ-

გაუმწვავებია ვოსტორგოვის განცხადებას: „მეგრელები თქვენ ქართველები არა ხართო". ფოთში შეხვედრია მათ მეგრელთა დეპუტაცია. და განუცხადებიათ, რომ ჩვენ რუსული ენის წინააღმდეგ არა ვართო და უთხოვიათ ქართული ენა დაეტოვებიათ ეკლესიებსა და სკოლებში. ეგზარხოსს შეუტყვია, რომ საქმე ცუდად მიდიოდა და მათთვის საერთოდ აუკრძალია ლაპარაკი. ეგზარხოსს გამოქომაგებია ვოსტორგოვი და განუცხადებია: „თქვენი შუამდგომლობა უადგილო და უსინდისოაო". მეგრელებს კვლავ განუმეორებიათ თავი[...]ი თხოვნა ეგზარხოსისათვის, როდ[...] და ვოსტორგოვი ფოთის ქალაქის თავთან იყო მიწვეული სადილად. მაგრამ რაიმე პოზიტიური შედეგის გარეშე. მთელი სამეგრელო შესძრა ეგზარხო[...]ისა და ვოსტორგოვის

მოგზაურობამ. მეგრელები ყველგან მოითხოვდნენ მშობლიურ — ქართულ ენას სკოლებსა და ეკლესიებში, წინააღმდეგ შემთხვევაში არეულობით იმუქრებოდნენ.

„საქართველო" მხურვალედ იწონებდა მეგრელთა საქციელს და ამათრახებდა ცარიზმის მოხელეთა რუსიფიკატორულ პოლიტიკას.

გაზეთ „საქართველოს" შემწეობით მისი ფრანგული ვარიანტით ევროპელმა მკითხველმა გაიგო ქართველი ხალხის ვინაობა, მისი ეროვნულად დაჩაგრული მდგომარეობა.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დამფუძნებელმა კონფერენციამ (1904 წ. აპრილი) გაზეთი „საქართველო" პარტიის ორგანოდ გამოაცხადა. ამიერიდან გაზეთში უფრო რელიეფურად გამოვლინდა ფედერალისტთა ეროვნული მრწამსი და მათი ლიდერის არჩ. ჯორჯაძის თვალსაზრისით საქართველოს ავტონომიის შესახებ. კონფერენციაზე საქართველოს ავტონომიას აზრთა სხვაობა არ გამოუწვევია. მას სოციალისტ-ფედერალისტებთან ერთად იცავდნენ ქართველი ანარქისტები, და სოციალისტი რევოლუციონერებიც. ეროვნული ავტონომია მიჩნეული იქნა პოლიტიკური წყობილების უმაღლეს და ამასთან იდეალურ ფორმად. არჩ. ჯორჯაძემ (საბუელმა) მოხსენებაში „ჩვენი პოზიციის განმარტების გამო" განაცხადა: „ეროვნულ საკითხში ჩვენ და „საქართველო" ავტონომიისა და ფედერალიზმის მოსარჩლედ გამოვდივართ"-ო.

სში საქართველოს ყველა კუთხის მოთხოვნილებანი ვერ აისახებოდა. მათივე აზრით, საქართველოში არსებული კლასთა ბრძოლა უნდა დამთავრებულიყო ეკონომიკური სამართლიანობის დამყარებით და კლასთა გაუქმებით. რითაც მოისპობოდა ის ძირითადი მიზეზი, რომელიც წარმოშობდა ეკონომიკურ წინააღმდეგობას, რამდენადაც გლეხთა უმრავლესობა მოკლებული იყო საკუთრებას, ისინი თვლიდნენ, რომ „ყველა გლეხი (და არა ზოგიერთი როგორც ამჟამად არიან) ხიზნებიც მათ რიცხვში უნდა გახდეს კერძო მესაკუთრედ. ამისათვის ბოლო უნდა მოეღოს ბატონყმობის დროიდან დარჩენილ წესებს. ჩვენ უნდა ხელი შევუწყოთ ფეოდალური წესწყობილების აღმოფხვრას" (იქვე).

როგორც ვხედავთ, აგრარულ საკითხში „საქართველო" მხარს უჭერდა კერძო საკუთრებას, რითაც იგი გამოხატავდა ეროვნულ-დემოკრატიულ და არა სოციალისტურ თვალსაზრისს. „საქართველოელები" მოითხოვდნენ: ჯერ ერთი — მემამულეებსა და გლეხებს შორის სავალდებულო დამოკიდებულების გაუქმებას; კერძოდ მესაკუთრეებად გლეხების (მათ შორის ხიზნების) აღიარებას; მეორე — ყველა პროფესიის მუშისათვის თავისუფალი მოქმედებისა და ბრძოლის უფლების მინიჭებას, მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების დაკანონებას.

პირველი მოთხოვნის განხორციელებას უნდა მოჰყოლოდა ლალის შემცირება და თანდათანობით მოსპობა; აგრეთვე სასოფლო ხარჯის თანაბრად განაწილება განურჩევლად წოდებისა, საეკლესიო გადასახადის გაუქმება.

მეორე მოთხოვნის განხორციელებას მათივე აზრით უნდა მოჰყოლოდა 8 საათიანი სამუშაო

ამიტომ „საქართველოელთა" აზრით, რუსეთის არსებულ წყობილებასთან შეტაკებას ქართველი ხალხი ვერ აიშორებდა. განვითარებული ეკონომიკური ურთიერთობა შესაფერ პოლიტიკურ ფორმასაც წარმოშობდა.

აქედან გამომდინარე ქართველ ხალხს უსათუოდ უნდა მინიჭებოდა ეროვნული ავტონომია, რასაც მეფის მთავრობა თავის ნებით არ განახორციელებდა. ამიტომ ძალმომრეობით აშენებული წესწყობილება, ძალითვე უნდა დამსხვრეულიყო. გაზეთი „საქართველო" უფრო მეტ სუვერენულ უფლებებს მოითხოვდა საქართველოსათვის, ვიდრე ფაქტიურად დღეს აქვს.

„საქართველო" გაბედულად ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას. გაზეთმა გამოაქვეყნა სინოდის ობერპროკურორის პობედონოსცევის საიდუმლო წერილი საქართველოს ეგზარხოსისადმი. ამ დოკუმენტის მიზანი იყო საქართველოს სკოლების გადაქცევა რუსული ენისა და ცოდნის გავრცელების იარაღად. სამრევლო სკოლები უნდა ჩამორთმეოდა ქართველ სამღვდელოებას ვინაიდან არ იყო სანდო და ვერც რუსულს ასწავლიდა ხეირიანად, თან ქართველ ახალგაზრდობაში მკვიდრდებოდა საქართველოს განთავისუფლების იმედი. ამიტომ პობედონოსცევის აზრით ქართველი ერი უნდა გათიშულიყო ცალ-ცალკე ნაწილებად და საქართველოს ერთიანობა დარღვეულიყო. ამ მიზნით საქართველოს კუთხეებში: სამეგრელოში, სვანეთსა და აფხაზეთში ქართული ენის სახსენებელი უნდა მოსპობილიყო. საიდუმლო წერილში ბევრ კურიოზებს ჰქონ-

ყობდა ხელს ლოცვების მეგრულ და სვანურ ენებზე გამოცემაში. ობერპროკურორი ავალებდა ეგზარხოსს მთლიანად განედევნა ქართული ენა სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის სკოლებიდან, იქ რუსული ენის გაბატონების მიზნით.

სტატიაში „ვოსტორგოვი და ჩვენი გათახსირება" გაზეთი ამხელდა რუს მოხელეთა თვითნებობას საქართველოში, ქართველი ენის დევნა-შევიწროებას, ქართველი ერის სრულ უუფლებობას. გაზეთი წერდა, ადამიანების აშკარა ამოჟლეტა, რომ არ შეიძლებოდა ეს ვოსტორგოვმა და მისმა ამყოლებმაც კარგად იცოდნენ. ამიტომ მათ უფრო „შესაფერის" კულტურულ საშუალებას მიმართეს — „ქართველების ზნეობრივ" ამოჟლეტას, მათს ზნეობრივ და გონებრივ გადაგვარებას, უსულო და უგულო მანქანებად გადაქცევას. გაზეთი წერდა: „წინათ თუ მთავრობა ცოტას გვერიდებოდა და პირდაპირ არ ამჟღავნებდა თავის განზრახვას, ვოსტორგოვი აშკარად გაიძახის: ჩვენი ერთად-ერთი მიზანი თქვენი გარუსებააო. თქვენი არც განათლება გვინდა, არც ზნეობრივი ამაღლება. სკოლებს თუ ვაარსებთ, ერთის მიზნით, რომ გაგარუსოთ ქართველები. განა გიჟები ვართ დავხარჯოთ რუსული ფული (თითქოს ქართველები არაფერს ვიხდიდით) სკოლისათვის, რომელიც გარუსების საქმეს არ ემსახურებაო? (იქვე, № 5, 1903 წ. 1 ივლისი).

გაზეთი აღწერდა ვოსტორგოვისა და ეგზარხოსის მოგზაურობას დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში, სადაც ხალხი ძლიერი უკმაყოფილებით შეხვედრია მათ, მდგომარეობა კიდევ უფრო

ამრიგად, გაზეთი „საქართველო" როგორც ვხედავთ ქართველი ხალხის ეროვნული უფლებების მტკიცე დამცველად გამოდიოდა; უმთავრესად ქართველი ხალხის ეროვნულ-რევოლუციურ სულისკვეთებას გამოხატავდა; ცარიზმის დამხობის პირობად სხვადასხვა ეროვნების ხალხთა სოლიდარული გამოსვლა მიაჩნდა და გამორიცხავდა ამდენად ეროვნულ განკერძოებას, სეპარატიზმს; მტკიცედ გამოდიოდა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ და შინაგან საქმეებში სუვერენული უფლებების განხორციელების მიზნით საქართველოს ტერიტორიულ ავტონომიას მოითხოვდა რუსეთის დემოკრატიული, ფედერაციული სახელმწიფოს ფარგლებში. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ობიექტური შესწავლა რუსეთის პირველი რევოლუციის წინ გაზეთ „საქართველოს" გარეშე შეუძლებელია.

**ალექსანდრე მუჯირი,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

# სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი?

აი, ასეთ „მყუდრო" შენობებში, ფიქრობენ, ალბათ, ოზურგეთის ყოფილი თუ დღევანდელი ხელმძღვანელები.



**ამას წინათ** ოზურგეთში გახლდით. პირველივე ჩემი სამწუხარო აღმოჩენა ის გახლდათ, რომ ზუსტად იმავე, ოღონდ სახელშეცვლილ ქალაქში ამოვყავი თავი, ჩემი ბავშვობის ბოლო არდადეგებზე რომ დავტოვე. მითხრეს — აქ ქუჩებსა და მოედნებს მხოლოდ დასახელებები აქვს შეცვლილი, სხვა მხრივ ყველაფერი ზუსტად ისეთივეა, როგორიც უძრაობის დროს იყოო. აქ ერთი უცნაური ფრაზაც გავიგონე, სადღეისოდ თითქმის გაცვეთილი, ყურსაც რომ აღარავის ჭრის: დღითიდღე იზრდება დანაშაულებათა რიცხვიო", მერე ისიც ამიხსნეს, თუ რატომ... უბრალოდ, აქ ადამიანებს წასასვლელი არსად აქვთ, პანაშვიდებისა და ქორწილების გარდა. თუ არ ჩავთვლით თეატრს, სადაც მაყურებელი კანტი-კუნტად დაიარება, და იმ ერთადერთ კინოდარბაზს, რომელიც ინდური ფილმების სეანსებზე ივსება მხოლოდ. აქ ხალხი საბოლოოდ გადაეჩვია დროის აზრიანად გატარებას და თითქმის არც ზრუნავს იმისათვის, რომ რაიმე შეცვალოს. ხშირად რაიონის მწვავე პრობლემებს თვეში ერთხელ განიხილავენ, როდესაც აქაურ ახალგაზრდა ჟურნალისტთა პრესკლუბის მიერ მომზადებული გაზეთის ნომერი გამოდის.

ახალგაზრდული კლუბი თუ გაქვთ-მეთქი ვიკითხე. რომელ კლუბზე გველაპარაკები, როდესაც ოზურგეთის კულტურის სახლი რა ხანია ძველი აბანოს შენობაშია დაბინავებულიო. ქალაქში არ არის საცურაო აუზი. კაფე-ბარებიც კი, ასე სოკოსავით რომ მომრავლდა ჩვენში, აქ ჯერაც იშვიათობაა. ბავშვებს ოცნებადა აქვთ გადაქცეული ცეკვაზე ან სიმღერაზე სიარული, იმიტომ, რომ ოც წელზე მეტია მოსწავლეთა სასახლის მშენებლობა გრძელდება და დასასრული ჯერაც არ უჩანს.

ერთი სიტყვით, დიდი გამჭრიახობის გამოჩენა არ დამჭირვებია ჩემის აღმოსაჩენად, რომ აქ ახალგაზრდობას ჩვენზე მეტად აკლია სულიერი საზრდო. ამიტომაც დაამთავრებენ სკოლას და ჯიუტად, დაფიქრებისა და ყოყმანის გარეშე მიეშურებიან თბილისისაკენ.

აქ, ოზურგეთში უნებურად გამახსენდა ის სენტენცია სათაურად რომ გამოვიყენე; „სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი? — თითქოს დღეს მისწერა ნიკოლოზ ბარათაშვილმა მაიკო ორბელიანს ოზურგეთიდან ის წერილი. სულით ობლობის პრობლემას სკოლაში, მახსოვს, სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ფონზე განვიხილავდით. მას შემდეგ ჩანს, ჯერაც არ დამდგარი ის დრო, ადამიანმა ასე ობლად და მიუსაფრად რომ არ იგრძნოს თავი.

სულიერ ობლობაზე მოგახსენებდით, ოზურგეთში კარგა ხანია, ყველა შეჩვეულია იმ აზრს-თავისთავის იმედად და ანაბრად რომ უნდა იცხოვროს. ყველაზე მეტად კი, აქაც, რა თქმა უნდა, მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვები გრძნობენ ობლობას...

ამაში ეჭვიც არ მეპარებოდა, მაგრამ იქ, ინტერნატში მისულს მეტად მძიმე სურათი დამხვდა, რომლის აღწერამდე ცოტა რამეს მისი წარსული ცხოვრებიდან გიამბობთ.

ერთ დროს სანიმუშო, დისციპლინით განთქმული ოზურგეთის სკოლა-ინტერნატი ისევ და ისევ ჩემი ბავშვობის ხანაში (მაპატიეთ ამგვარი აკვიატება) უკვე ისეთი ძველი იყო, რომ ჩვენი მშობლების ბავშვობის პერიოდის იშვიათ ექსპონატად გამოიყურებოდა. მაგნოლიებისა და ეგზოტიკური მცენარეების ბაღი, ხაზზე ჯარისკაცებივით დამწკრივებული თავგადაპარსული ბავშვები, სუფთა და მოვლილი. ეზოს შორეულ კუთხეში ჩაის ბუჩქებთან საიდუმლო გვირაბიც კი მინახავს მრავალჯერ გარღვეულ და საიმედოდ შეკრულ ღობესთან რომ მთავრდებოდა, ძველი ცისფერი შენობის რკინისგისოსებიანი ფანჯრები, პირსაბანთან ყვავილების ქოთნები.

ახლა კი ნინოშვილის ქუჩაზე მისულს ნანგრევებილა დამხვდა, დაბომბილი ხიროსიმასავით და გადახრიოკებულ ნაგავი — ძველი ბაღის ადგილას. ბავშვები დასასვენებლად იყვნენ წასულნი ბახმაროში (იქაც სანახევროდ დანგრეულ სახლში ატარებენ ზაფხულს), ამიტომ უფრო საგრძნობი იყო ბავშვთა სახლის უდაბურება. აქ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მარინე აბაშმაძე მიწევდა მეგზურობას, თანაც ცრემლებამდე მისული აღშფოთებას ვერ მალავდა.

**მარინე აბაშმაძე:** — სასწავლო კორპუსი სანამ თავზე არ ჩამოგვექცა, ყურადღება არავინ მოგვაქცია. მერე საძინებელ კორპუსში ვატარებდით გაკვეთილებს, ამ ძველ შენობაში. წვიმა ჩამოდის, ნესტია, ბავშვი წევს და ფეხებთან ტაშტი უდევს, აწვიმთ, პირდაპირ თავზე... სუნი დგას ისეთი შემოსვლა მიჭირს. აქ ათი კლასი ცხოვრობს, გაჭირვებით ეტევიან. მესამე წელია აქ ვმუშაობ და წელს ზამთარში პირველად ვნახე ეს შენობა გამთბარი, ისიც „სალიარკის" ღუმელით, ღამის მორიგე ექიმიც პირველადა გვყავს, მას შემდეგ, რაც პრესკლუბმა ატეხა განგაში რაიონულ გაზეთში. სწავლით რას ისწავლიან? კვირიდან კვირამდე ბავშვები არაფერს აკეთებენ. იმ სტატიის გამოქვეყნებიდან რამოდენიმე თვე გავიდა. დიდად არაფერი შეიცვალა. მაშინ ჭერი გვენგრეოდა თავზე, ქვები ცვიოდა. სამი წელი ვჩიოდით, მოვიდნენ, შეამოწმეს და მეორე დღესვე დავცალეთ შენობა. ერთ კვირაში დაშალეს სასწავლო კორპუსი და ოთხი თვეა ზუსტად იმავე მდგომარეობაშია ამის შემდეგ ვიკითხეთ, რატომ ანგრევდით თუ ახლის აშენებას არ აპირებდითო. ალმასკომიდან გვიპასუხეს კომისიას ველოდებითო თბილისიდან კედლების ვარგისიანობა უნდა შემოწმდესო. არა და, კედლების სისქე ზომით ნახევარია იმისა, რაც წესით უნდა იყოს, არავითარ სტანდარტებს არ შეესაბამებაო, ჩვენმა არქიტექტორმა ო. ჩხაიძემ თქვა. ეს კედლები მესამე სართულის დაშენებას რომ ვერ გაუძლებს, ყველასთვის ისედაც ცხადია. კვლავ შეიკრიბა რაიონის ხელმძღვანელობა. ჩვენ მოვითხოვდით საშუალო სკოლად გადაკეთებულიყო, დაუშვებელია სკოლა-ინტერნატი ცხრაწლიანი იყოს, ბავშვი სწორედ მაშინ რჩება ყურადღების გარეშე, როცა ყველაზე მეტად სჭირდება პატრონი. ისინი კი ქუჩაში რჩებიან, გამოდის, რომ დანაშაულის გზისკენ ვუბიძგებთ მათ.

ეს საკითხიც გადაწყდა მაშინ. ერთი თვე იყო გასული დირექტორმა რომ იკითხა, კიდევ რამდენ ხანს მოგვიწევს ცდაო. ალმასკომის თავმჯდომარემ კი იცით რა უპასუხა? — კომისიას ველოდებითო თბილისიდან, კედლების ვარგისიანობის შესამოწმებლად. წარმოგიდგენიათ, გვეგონა, იმ დღეს გადაწყდა ყველაფერი, ესენი კვლავ კომისიას ელიან. თურმე. მერე დაგვპირდნენ აღარ დაველოდებით, დავშლით და გავაკეთებთო. იმის შემდეგ კიდევ ორი თვე გავიდა. რა უნდა ვქნათ, რა გვეშველება? — ვიკითხავთ და ისეთ მიზეზებს დაგვისახელებენ — წყალი რომ არ გაუვა. სად წავიყვანოთ ბავშვები? ისევ რაიონის ხელმძღვანელობისაგან მოველით პასუხს.

**რიმა ბერაძე: პარტიის რაიკომის მესამე მდივანი:**

— რა ვუყოთ ამ ბავშვებს მომავალი წლისათვის? ეს სამშენებლო რიგის საკითხია. მე განათლების დარგს ვხელმძღვანელობ მაგრამ, რა თქმა უნდა, მაღელვებს ამ 240 ბავშვის ბედი. შევისწავლე მათი მდგომარეობა. სხვა რაიონებიდან მოსული 80 მოსწავლე სწავლობს ჩვენს ინტერნატში (ჩოხატაურის, ლანჩხუთის და ქობულეთის კონტინგენტი) და მიმაჩნია, რადგან აქ პირობები არ არის, ჩოხატაურის კონტინგენტი ლანჩხუთის ბავშვთა სახლში უნდა წავიდეს, ქობულეთის, კი ბათუმში, დაგვრჩება 180 მოსწავლე. აქედან ბევრი აქ მომუშავე მასწავლებლის შვილია, რომელიც არ ექვემდებარება ინტერნატის კონტინგენტს. თუ მათაც გამოვრიცხავთ დაგვრჩება 127 მოსწავლე. ასე ჩვენ ერთგვარად გავიუმჯობესებთ პირობებს. მაგრამ ეს საძინებელი კორპუსი, მიმაჩნია, რომ დღევანდელი ეროვნული სკოლის კონცეფციის ნორმებს ვერ აკმაყოფილებს, ამიტომ შევდივარ რაიონის ხელმძღვანელობასთან მოთხოვნით, რომ კურორტ მაგნეტიტში საბავშვო სანატორიუმი „კოლხიდა" ავიღოთ არენდით წელიწადნახევრის ვადით. და ბავშვებს გადავიყვანთ კურორტზე. იქ საბავშვო სამკურნალო პანსიონატია, რომელიც გახსნის დღიდან თითქმის ცარიელია. ინტერნატის მშენებლობა კი უკვე გამოცხადდა სახალხო (დამკვრელურ) მშენებლობად.

ასეთი არითმეტიკული დაანგარიშებითა და დაპირებით დაგვიმშვიდა გული, „ამ მდგომარეობამდე ჩვენმა ცუდმა მუშაობამ მიგვიყვანაო", აღიარა რ. ბერაძემ, ბევრს ვაშენებდით ნაკლებადმნიშვნელოვან ობიექტებს, რომელთა მშენებლობა კიდეც მოითმენდაო. შემდეგ საუბარმა ურთიერთგადაჯაჭვულ მოვლენათა რკალი შემოხაზა. ამაზე ქვემოთ, ახლა კი ოზურგეთის რაიონის

## კულტურის სახლში

შევიაროთ. აქ გულისტკივილით მითხრეს: ისეთი მდიდარი ტრადიციების მქონე რაიონს, როგორიცაა ოზურგეთი, კულტურის მატერიალური კერა არ გააჩნიაო. ამაში მალე დავრწმუნდი, როცა ძველი ჩაჟანგებული სახლის შესასვლელს მივადექით. არ მინდოდა გურულების გონებამახვილობად მიმეღო, სხვასაც რომ არაფერს ჰგავს ამ სახლზე გამოკრული ლოზუნგი: „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის". სწორედ ამ სახლში ძველი აბანოს საერთო ნომერში მდებარეობს ოზურგეთის რაიონის კულტურის სახლი. აქ ცივსა და ბნელ სარდაფში ადმინისტრაციაცაა და აქვე ტარდება სახელგანთქმული „შვიდკაცას" და „ელესას" რეპეტიციები, სახალხო ანსამბლი, ქორეოგრაფიული და ბავშვთა ანსამბლები, აქვეა ხალხური სიმღერების შემსწავლელი სტუდია და სხვა. ახალი შენობის აგება გეგმაშიც არ ჩანს. ხან მუზეუმის შენობაში ვარაუდობენ გადასვლას, ხან მოსწავლეთა სასახლის ერთ ნახევარში ეძებენ ბინას, თუმცა ამ სახლის აშენების იმედიც არავის აქვს უახლოესი ათი წლის განმავლობაში. ოზურგეთს არა აქვს ქორწინების სახლი, არ დაადგა საშველი დასასვენებელი პარკის გახსნას, ატრაქციონებს დანატრებული ბავშვები თბილისში ჩამოსვლაზე ოცნებობენ.

— სამწუხაროა, ბავშვთა საავადმყოფოში რომ ვერ მოასწარით მისვლაო, მითხრეს პრესკლუბის წევრებმა, — გაპარტახებული იპოდრომიც უნდა გენახათ და სასროლეთიც. მოდი და ნუ იგრძნობ თავს ობლად იმ ქალაქში, სადაც უბრალო რამეები ენატრებათ, მაგრამ სანაცვლოდ აქვთ ხუთი სანახევროდ ცარიელი უნივერმაღი (?), მუზეუმებსა და მათ ფილიალებს ვინ მოთვლის. აქ ერთ დროს ბრეჟნევის საპატივცემულოდ მე-18 არმიის „საბრძოლო დიდების" მუზეუმიც კი გაუხსნიათ (შემდგომში „საბრძოლო დიდების" მუზეუმად გადაუკეთებიათ), ახლა კვლავ მოუწადინებიათ შეცვალონ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მუზეუმად გადააკეთონ იგი. ახლაც პირველობას ირჩევენ ოზურგეთელები. საქართველოში ამგვარი მუზეუმი კი ჯერ იქაც არ არის, სადაც უფრო საჭირო იქნებოდა მისი არსებობა.

იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ოზურგეთში ბოლო წლების მანძილზე არაფერი აშენებულა. ნურას უკაცრავად, ოზურგეთში აშენდა პანსიონატი „მოსკოვი", საკავშირო მნიშვნელობის დასასვენებელი სახლი (150 ადგილიანი). ამავე კომპლექსში შედის რესტორანი წყალქვეშა სართულით სოფელ მშვიდობაურში, მუზეუმის კიდევ ერთი შენობა იქვე. ეს კომპლექსი (სწორედ იმ ტრესტმა ააშენა, რომელსაც საცურაო აუზის და მოსწავლეთა სასახლის მშენებლობა ევალებოდა და, როგორც გავიგეთ, ახლაც მასვე ევალება) — კულტყოფრემშენს, ახლა კი რესტორნის ახალგაზრდულ ... გაკეთება მოინდომეს, პანსიონატში კი თავიდან ფიქრობდნენ ინტერნატის გადმოტანას, მაგრამ ვინ წავა იმ ტყეშიო? მითხრეს. რადგა საკავშირო მნიშვნელობის კომპლექსი, რესპუბლიკას არავითარ შემოსავალს არ აძლევს, და თუ რესპუბლიკის მფლობელობაში გადმოვა, ვალად დაგვედება ეგი ღირებულება.

ბევრი სხვა რამ საწუხნავი აქვთ კიდევ ოზურგეთელებს, აქამდე ირონიით უყურებდნენ მათი გადაჭრის პერსპექტივას, ახლა გული მოეცათ, რაიკომის პირველ მდივნად სულ რაჭდენი ... რაც აქაურ კომუნისტთა ... კოტე შავიშვილი აირჩიეს. მასთან საუბარში გაირკვა, რომ ის აქეთ რაც ამ თანამდებობაზე დაწყო მუშაობა, „ახალი წელთაღრიცხვა" არ დაწყებულა, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ხელმძღვანელობის შეცვლისას. არც თავის მართლებას მოჰყოლია, პრობლემების სიმძიმის მიუხედავად ... რეალობისათვის თვალის გასწორებას ცდილობს, თუმცა გასავლის ძიება არც თუ ისე ... ჩანს. ჩემს პირდაპირ შეკითხვაზე, არის თუ არა დღეს რაიონში ისეთი მშენებლობა, რომელთა მშენებლობის გადადება უფრო დასაშვებია, ვიდრე ვთქვათ, სკოლა-ინტერნატისა, მან მიპასუხა: ინტერნატის მშენებლობას აქვს ტექნიკური მიზეზები (პროექტი დაუშვებელია, რესურსებით ჯერჯერობით ვერ უზრუნველვყოფთ), რის გამოც წლეულს არ მოხერხდება აშენება. ბავშვებს კი უყურადღებოდ არ დავტოვებთ. სიმართლე გითხრათ, თქვენ რომელ მშენებლობებსაც გულისხმობთ, ისინი ეგი მშენებლობის პროცესშია, ეგი მხოლოდ დაწყებულია.... ჩვენს რაიონში ბოლო სამი წლის ვადით მაინც ყოველგვარ სამრეწველო მშენებლობაზე ვამბობთ უარს, რადგანაც გვაქვს ბინათმშენებლობის მოუგვარებელი პრობლემა. 700 კაცია უბინაო, ამიტომ მხოლოდ ბინათმშენებლობას მოხმარდება რესურსები და კადრები.

ოზურგეთის ცენტრში, თეატრის წინ, ერთი დიდი ... ლოდი დგას. ზედ აწერია: გროვდება სახსრები ოზურგეთის ეკლესიის ასაშენებლად. ასე გროშებით უნდა მოგროვდეს ტაძრის ასაშენებლად საჭირო თანხა... და რაც შეგროვდება მალე უნდა შეგროვდეს, რადგან ღვთის ანაბარად დარჩენილ ოზურგეთელებს ახლა სჭირდებათ ქრისტიანული უსაზღვრო მოთმინებისა და გულმოწყალების სწავლა, სჭირდებათ ნავსაყუდელი და სულიერი თავშესაფარი.

**გურამ კაკაბაძე**

**სურათებზე:** ასე გამოიყურება ოზურგეთის სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსი.

**გიგლა გიორგაძის ფოტოები.**

---

## დიალოგი

# აუცილებელია საზოგადოებრივი სტრუქტურების დამკვიდრება

გვესაუბრება საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი დემურ ბაშელეიშვილი



**— ბატონო დემურ, პრესაში არაერთხელ დაიწერა საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასის" მიზნებისა და უკვე განხორციელებული საქმეების შესახებ, ცნობილი გახდა, რომ ასოციაცია მრავალდარგობრივია: მხატვრობა, არქიტექტურა, დიზაინი, მუსიკა, თეატრი, კინო, ქორეოგრაფია, სამეცნიერო-ტექნიკური და ხალხური შემოქმედება, სპორტი, ტურიზმი... გასაგებია, რომ ცმობისმოყვარეობამ ბევრს უბიძგა „პეგასისაკენ". აი თქვენც ამბობთ, რომ ამ დღეებში გაიმართა სხვადასხვა რეგიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენციები. რითი ხსნით „პეგასისადმი" იმ ხალხის ასეთ ნდობას, ვისაც ბოლო 70 წლის მანძილზე ბევრჯერ გაუცრუვდა იმედი?**

— თავიდანვე უნდა ვთქვა (როგორც ეს არაერთხელ მითქვამს), რომ ჩვენი ასოციაციის მიზანი არ არის სხვადასხვა უწყების ფუნქციების შესრულება და ალტერნატიულ ორგანიზაციად მოვლინება. ჩვენ გვსურს, ჩვენი საქმიანობით ხელოვანთ უკეთესი პირობები შეექმნათ მუშაობისათვის, რაც მათ საშუალებას მისცემს არ გაფლანგონ თავიანთი ნიჭი და შემოქმედებისათვის აუცილებელი დრო ბიუროკრატიულ აპარატთან უსარგებლო ბრძოლაში და მერე, ყველაფერზე ხელჩაქნეულებმა, ნიჭი რაიმე სარფიან საქმეზე არ გაცვალონ. კულტურის დარგის სახელმწიფოებრივი უწყებები აქ არაფერ შუაშია. ისინი ჩინებულად მუშაობენ მაშინაც კი, როცა კულტურის განვითარებას სახელმწიფო ბიუჯეტის ნარჩენებით კვებავს. ამ დროს, კულტურის მუშაკთა ნაღვაწის შედეგად, უამრავი თანხა ირიცხება ბიუჯეტში, რომელიც კაცმა არ იცის, რაზე იხარჯება. კულტურას რომ არ ხმარდება, ეს, მე მგონი, უკვე ეჭვს არ იწვევს. ამიტომაც გაუჩნდა საზოგადოებას სახელმწიფო უწყებებისადმი ნდობის დეფიციტი, რომელთა ლოზუნგები (სწორედ 70 წლის მანძილზე) „ავგურების სიცილს" უფრო ჰგავდა. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს კი ნამდვილად ძალუძს ერის ინტელექტუალური ძალების კონსოლიდაცია და „პეგასიც" ყველაფერს გააკეთებს, რომ თავის ირგვლივ ნამდვილი აქტენი — თავდადებული ადამიანები შემოიკრიბოს (როგორც ეს უკვე კეთდება), რომლებიც თავიანთი შემოქმედებით კიდევ მეტად წამოწევენ ქართულ ფენომენს ზოგადსაკაცობრიო კონტექსტში მის გასაცნობიერებლად, თავიანთი რწმენითა და ინტელექტით აღამაღლებენ ეროვნულ სულსა და ეროვნულ თვითშეგნებას.

თავისუფლებას მოწყურებულ ერს შეუძლია და შეძლებს კიდეც აიმაღლოს დეფორმირებული სოციალური მდგომარეობით დაბეჩავებული ცოდვილი სული, გახდეს მიმტევებელი, ზნეობრივად სრულყოფილი, ხვალინდელ თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს რომ ეკადრება. ადამიანის ზნეობრივი ფორმირება ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ამიტომაც შემოვიკრიბეთ არა მარტო ხელოვნების მოღვაწენი, შემოვიკრიბეთ სპეციალისტთა ჯგუფები, გაერთიანებები, მთელი საწარმოები, ორგანიზაციები, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავაღწიოთ თავი ერის სულიერ სიმწირეს.

მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში, როგორც წესი, უამრავი ფირმა ეხმარება ეკონომიკურად, ფინანსურად კულტურის ცენტრებს, ორგანიზაციებს. ამით კულტურა თავს აღწევს სახელმწიფო უწყებების დიქტატს. ჩვენი საქმიანობაც სწორედ აქეთკენაა მიმართული და „პეგასის" კოლექტიურ წევრ ორგანიზაციებთან, საწარმოებთან ერთად განხორციელებული პროგრამა კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენს პიროვნებისათვის თავისუფალი ინიციატივის მისანიჭებლად, შექმნის პირობებს კულტურის სახელმწიფო აპარატის მონოპოლიისაგან თავდასაღწევად.

ასოციაციის კოლექტიურ წევრებს, რომელთაც ნამდვილად ძალუძთ მოკრძალებული სამსახური გაუწიონ ქართული კულტურის განვითარებას, ჩვენთან ერთად შეუძლიათ შექმნან ორივე მხარისთვის ხელსაყრელი, კომერციული თვალსაზრისით ცხოველუნარიანი ერთობლივი შემოქმედებითი-საწარმოო გაერთიანებები, მონაწილეობა მიიღონ ასოციაციის მიერ განხორციელებულ კულტურულ თუ სხვა ღონისძიებებში ჩვენთან და უცხოეთში. დარწმუნებული ვართ ჭეშმარიტი მამულიშვილების თანადგომაში. ასეთ დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შესაძლებლობები, მათი უნარი, აქტიურად ჩაებნენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების საქმეში. საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობით მიღებული თანხები ხომ თითქმის მთლიანად იხარჯება საზოგადოების შეხედულებისამებრ. თანაც ასეთ დროს ძალზე ხელშესახებია ხოლმე მატერიალური დახმარების შედეგები, რომლის გარეშეც შეუძლებელია დასახული მიზნის მიღწევა, ამიტომაც მიმაჩნია, რომ აუცილებელია საზოგადოებრივი სტრუქტურების დამკვიდრება.

შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის ხელისშეწყობა „პეგასის" უმთავრესი საზრუნავია, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობის საკითხად გვეჩვენება დღევანდელი საქართველოს უაღრესად მძიმე სოციალური და ეკონომიკური კრიზისის დაძლევისათვის ხელისშეწყობა და იმ სავალალო მდგომარეობიდან გამოსვლა, რომელშიც ჩავარდნილია მშრომელი კაცი, და რომელმაც ტოტალიტარული რეჟიმის წყალობით დაკარგა შრომის კულტურა, არავითარი პირობები არა აქვს კულტურული დასვენებისა და სულიერი განვითარებისათვის. მე კარგად ვიცი, რა მდგომარეობაშია ჩვენი სოფლის კლუბები, კულტურის სახლები, როგორ სწყურია ხალხს შეხვედრა ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებთან. დღეს თითქოსდა კარგ ტონად არის მიჩნეული წარსულის შეცდომებზე ლაპარაკი. ახლა წარსულის შეცდომებზე საუბარი არ ღირს. მთავარია, დავძლიოთ პროვინციალიზმი, დავძლიოთ კულტურისადმი უწყებრივი დამოკიდებულება და ავამოქმედოთ ეროვნული ძალები ჩვენი ერის სულიერი სიმდიდრის დასამკვიდრებლად, რათა რაც შეიძლება, მალე მივაღწიოთ ჩვენი რწმენაშერყეული საზოგადოების სულიერ ფერისცვალებას.

შემოქმედ კაცს „პეგასი" საშუალებას მისცემს უფრო ხშირად წარსდგეს მაყურებლისა თუ მსმენელის წინაშე როგორც ჩვენთან, ასევე უცხოეთში. იგი ყველა დაინტერესებულს გზას გაუხსნის თავისი ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისათვის. ვფიქრობ, რომ ამიტომაც მოეკიდნენ ადამიანები ნდობით „პეგასს". და ჩვენც ვეცდებით იმედი არ გავუცრუოთ მათ.

**— „პეგასს" უცხოეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის საკმაოდ ვრცელი პროგრამა აქვს. კონკრეტულად რას გვეტყოდით ამის თაობაზე?**

— არც ერთი ჩვენი პროგრამა არ განხორციელდება, თუ ძლიერი ეკონომიკური ბაზა არ გვექნება. ამიტომ შევიმუშავეთ საწარმოო და კომერციული საქმიანობის ვრცელი პროგრამა. თბილისსა და საქართველოს ზოგიერთ ქალაქში გავხსენით სხვადასხვა სალონები. ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით უცხოეთის ქვეყნებთან დავამყარეთ ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა. ზოგიერთ ქვეყნებში შექმნილია საზოგადოებები, ზოგიერთში კი ცალკეული პირები წარმოადგენენ ჩვენს ინტერესებს, ხელს უწყობენ ქართული კულტურის პროპაგანდას თავიანთ ქვეყნებში. ჩვენ კი ქართველ საზოგადოებას გავაცნობთ მათი კულტურის მიღწევებს. ამით ხელს შევუწყობთ ხალხთა დაახლოებას, მეგობრობას და მსოფლიოს კულტურულ ცხოვრებაში ქართველ ხელოვანთა მეტად ჩართვასა და დამკვიდრებას.

ცოტა ხნის წინათ თურქეთიდან მივიღეთ მიწვევა ქართველ მხატვართა გამოფენის მოწყობის შესახებ, ვფიქრობ, შევძლებთ ღირსეულად წარვსდგეთ თურქი საზოგადოების წინაშე. გათვალისწინებულია ქართული სამზარეულოს მოწყობაც. კანადაში აწარმოებს მოლაპარაკებას ჩვენი წარმომადგენელი, ამ ქვეყანაში ქართული კულტურის ცენტრის შექმნის შესახებ. ჰოლანდიელები კომერციულ ურთიერთობას გვთავაზობენ. საინტერესოდ ჩაიარა მოლაპარაკებებმა ავსტრალიელებთან და სამხრეთ კორეელებთან, საბოლოო შეთანხმებისთვის სექტემბერში ველოდებით. იტალიელებთან მოლაპარაკების თემაა ზღვისპირეთში დასასვენებელი სახლის მშენებლობა... წინადადებები ბევრია, მოლაპარაკებები გრძელდება...

**— ბატონო დემურ, როგორია „პეგასის" ინდივიდუალური წევრების აქტივობა, როგორ უჭერს მხარს თქვენს მოძრაობას ასოციაციის კოლექტიური წევრები?**

— პიროვნების აქტივობა, მისი პროფესიონალური ინიციატივა და ინტელექტის სრული გამომჟღავნება, სწორედ ის ძალაა, რომელმაც ჩვენი ასოციაციის პროგრამის რთული მექანიზმი უნდა აამოძრაოს. აამოძრაოს და ერის სამსახურში ჩააყენოს, როგორც საზოგადოების სულიერი ამაღლების, ზნეობრივი ფორმირების აუცილებელი კატალიზატორი. აი, ასეთი არიან ჩვენი წევრები, თუმცა აქვე უნდა გითხრათ, რომ პირველ ხანებში მათ სწორედ ამ ინიციატივის გამომჟღავნება უჭირდათ. რეგიონული სადროშოები ახალი შექმნილია, ეს პროცესი ახლაც გრძელდება, და მათთან ჯერჯერობით ძირითადად ორგანიზაციული საკითხები წყდება, რა თქმა უნდა, გვაქვს მოქმედების კონკრეტული გეგმებიც. უფრო აქტიურები ამჯერად პირველადი ორგანიზაციებია, ვინც, როგორც იტყვიან, გულთან მიიტანეს ნამდვილად ეროვნული საქმე.

**— ბატონო დემურ, როგორც გავიგე, ბევრი სკოლა და სასწავლებელი გახდა „პეგასის" კოლექტიური წევრი...**

— სწორედ კულტურას ეკისრება ერთერთი მთავარი როლი მოზარდი თაობის სულიერ ჩამოყალიბებაში, ეროვნული ცნობიერების განმტკიცებაში. დღეს ბევრს ვლაპარაკობთ საქართველოს მომავალზე, დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოზე. სწორედ ახლა გვჭირდება მოქმედების არასტანდარტული გზები ერის ზნეობრივი კათარზისისათვის. ჩვენი ასოციაციის წევრები — ერის სახელოვანი ადამიანები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი შეხვდებიან მოსწავლეებს, შეხვედრის თემა იქნება ხელოვნება, რელიგია, ზნეობა, ეთიკა, ეროვნული თვითშეგნება. ვფიქრობ, რომ ეს სასარგებლო იქნება ახალგაზრდობისათვის. ჩვენი პროგრამით, სკოლისა თუ სასწავლებლის მიერ მოწყობილი ღონისძიებებისაგან მიღებულ მოგებას მთლიანად მათ ჩავურიცხავთ... ამ ცოტა ხნის წინათ ბაშის სოფლის სკოლამ (სამტრედიიდან) მოგვმართა თხოვნით, რომ მიგვეღო ასოციაციის კოლექტიურ წევრად. ჩვენმა პრეზიდიუმმა, რა თქმა უნდა, დააკმაყოფილა ეს თხოვნა და თან დავადგინეთ, რომ სკოლას შევუძენთ ბიბლიოთეკას და ახლო მომავალში, სწავლის განახლების შემდეგ გადავცემთ. გვაქვს სხვა გეგმებიც...

**— ბატონო დემურ, გასაკვირი არაფერია იმაში, რომ კულტურის საერთაშორისო ასოციაციის სახელწოდებად და ემბლემად პეგასი შეირჩა, რომლის ნაფლოქვარიდან ამოხეთქილ შემოქმედების წყაროს უნდა დაეწაფოს ყველა, ვისაც სულიერი განწმენდა, გაფაქიზება და ზნეობრივი დახვეწილობა ადამიანის არსებობის ერთ-ერთ მთავარ მიზნად მიაჩნია. მაგრამ ხომ არ შეიძლება პარალელის გამოძებნა იმაშიც, რომ პეგასი მითოლოგიური გმირის, პერსევსის მიერ მოკლული გორგონა მედუზას სხეულიდან გამოვიდა?**

— ჩვენს ქვეყანაში გაბატონებულმა სისტემამ სრული აბსორბირება მოახდინა ეროვნული ცნობიერებისა და, რა თქმა უნდა, ახლა, აბობოქრებული ეროვნული მოძრაობის დროს უპირველესად საჭიროა ერის ზნეობრივი სიწმინდე, რწმენა, რამეთუ ხვალინდელი დღე დემოკრატიული საქართველოს ზნეობრივად სრულყოფილ მოქალაქეებს ეკუთვნის. „პეგასი", რა თქმა უნდა, ამ პატრიოტულ მოძრაობაში თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს. რაც შეეხება პეგასის ამ ქვეყნად მოვლინებასა და ჩვენი „პეგასის" მოვლინებას შორის პარალელის გავლებას, მე მხოლოდ ერთს ვხედავ: პეგასის მშობელი გორგონა მედუზა ეს იყო ქალი-ურჩხული, რომლის შეხედვის შემდეგაც ყველა ქვად იქცეოდა. და, თუ გორგონა მედუზა ეს ის ურჩხული, ტოტალიტარული რეჟიმია, რომელიც აქვავებდა ყოველგვარ პროგრესულს და დემოკრატიულს, ახშობდა სათნოებასა და სიკეთეს, სპობდა ზნეობრივსა და სულიერს, — მაშინ მომაკვდავი, განწირული რეჟიმისაგან დაბადებული „პეგასის" მოვლინებაც სიმბოლურია.

ცად აზიდულ ჰელიკონის მთას მითოლოგიურმა პეგასმა ფლოქვი დაჰკრა და იქიდან ამოხეთქილ წყაროს პოეტები დაეწაფნენ, ვითარცა შთაგონების მაპკურებელ წყალს. ჩვენი „პეგასი" ფლოქვს არავის დაჰკრავს, — იგი შეიფარებს ყველას, რომელთა ნახელავს დაეწაფება სულიერად ამაღლებული ხალხი და „პეგასიც" თავისი ძლიერი ფრთებით მისწვდება ჰელიკონს, სადაც ნანატრ ტაძარში საქართველოს თავისუფლების ხატი ასვენია.

ესაუბრა **გულიკო ნინოშვილი.**

**ავტორის თხოვნით, ჰონორარი გადაირიცხება საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის ანგარიშზე № 100700420 (თბილისის ბინსოცბანკის მთაწმინდის განყოფილება).**

## დიალოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოისპოს საუკუნის უსამართლობა

**ქართველთა** შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მდივანი, ცნობილი პუბლიცისტი ალექსანდრე მიქაბერიძე თავის მოგონებებში იხსენებს აკაკი წერეთლის სავსებით სწორ შეფასებას იაკობ გოგებაშვილის ღვაწლის შესახებ: „აკაკიმ... ღიმილით მითხრა:... ამჟამად, სრულიად გულწრფელად და გულახდილად უნდა გითხრათ, მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი ქართველი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას. იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენაზე“ არ აეხილოს თვალები. ეს ღირსეული მამულიშვილი შეუპოვარ დარაჯად უდგას ქართველ ერს და სიტყვით, საქმით, მწერლობის საშუალებით მედგრად იგერიებს ჩვენზე მოსეულ მტერს... იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტკბოება ყურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ მას ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას!“

ყველაფერი ხალხმა მომცა და ხალხსვე უნდა დაუბრუნდესო, მტკიცედ გადაწყვიტა დიდმა იაკობმა და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, ღრმა, მრავალმხრივი შემოქმედება მშობლიური ქვეყნის ნათელ მომავალს მიუძღვნა. იაკობ გოგებაშვილის პატრიოტული სული ვერ ეგუებოდა ქართველი ერის დამონებულ მდგომარეობას. დიდ პედაგოგს ღრმად სწამდა, რომ თვითმპყრობელური რუსეთის მომაკვდინებელ მარწუხებში მოქცეული საქართველოსათვის აღარ არსებობდა ნიადაგი პატრიოტული გრძნობების აღმოცენებისათვის. მისი აზრით ყველა დამორჩილებულ და დამონებულ სახელმწიფოში შეჩერებულია „აღმაფრენა და თავისუფალი განვითარება... ერის გენიისა“.

იაკობ გოგებაშვილი კარგად იცნობდა და იზიარებდა ევროპის განმანათლებელთა და ფილოსოფოსთა შეხედულებებს თავისუფლებების შესახებ.

ჟან-ჟაკ რუსო თავისუფლების დაკარგვას ადამიანური ღირსების უარყოფად თვლიდა: „საკუთარ თავისუფლებაზე უარის თქმა ადამიანურ ღირსებაზე, კაცობრიობის უფლებაზე უარის თქმას ნიშნავს... ასეთი უარყოფა ადამიანის ბუნებასთან შეუთავსებელია. საკუთარი ნებელობისათვის თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს შენს ქმედებას ყოველგვარი ზნეობრივი საფუძველი გამოაცალო“.

ჯონ სტიუარტ მილისათვის ისეთი საზოგადოება არ არის თავისუფალი, მმართველობის როგორი ფორმაც არ უნდა ჰქონდეს, სადაც ინდივიდი მოკლებულია აზროვნებისა და სიტყვის თავისუფლებას, ხოლო ისეთი საზოგადოება ითვლება თავისუფლად, სადაც ინდივიდუალური თავისუფლების ყველა ეს სახეები აბსოლუტურად არსებობენ მისი თითოეული წევრისათვის.

იაკობ გოგებაშვილი შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა მეფის რუსიფიკატორული რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ერის დამონება-გადაგვარებას. მას ღრმად სწამდა, რომ დედამიწაზე საბოლოოდ სრული თავისუფლება დამყარდება, ვინაიდან „მსოფლიო ისტორია წარმოადგენს მსვლელობას მარტივიდან რთულისაკენ, მონობიდან თავისუფლებისა და თანასწორობისაკენ, ბიწიერებიდან სათნოებისაკენ, უმეცრებიდან სიბრძნისაკენ, მხეცობიდან ადამიანობისაკენ, ტანჯვიდან ლხენისაკენ, ჯოჯოხეთიდან სამოთხისაკენ... იგი არის შეუპოვარი, და მიმართულებას, გზას ვერაფერი დააკარგვინებს“.

იაკობ გოგებაშვილი ვერ ითმენდა ჩვენში ეროვნული გრძნობის, მამულის სიყვარულის დაქვეითებას, მაგრამ ნუგეშს ჰფენდა ქართველი ხალხის ზოგი ისეთი წმინდა თვისება, რომელიც მას ბედნიერებისა და ნათელი მომავლის ღირსად ხდიდა. იაკობ გოგებაშვილი ხაზს უსვამს პატრიოტიზმის ისეთ „ორიგინალურ“ გამოვლინებას, როდესაც სხვის უბედურებაზე საკუთარი ბედნიერების აშენებას ლამობენ: „პრუსიის პატრიოტს ტრეჩიკეს რომ ჰკითხო, რას თვლი საჭიროდ გერმანიის ბედნიერებისათვისო, გიპასუხებს: დასავლეთით საფრანგეთის მიწასთან გასწორებას, სამხრეთით ავსტრიის წელში მოკაკვას და აღმოსავლეთით რუსეთის მიმსხვრევასო. მეშჩერსკის, სუვორინს და კატკოვს რომ შეეკითხოთ, როგორი უნდა იყოს რუსის პატრიოტიო, გიპასუხებენ: იგი უნდა სჩაგრავდეს ყოველ სხვა ტომს, რუსებთან შემოერთებულსა, და გარედ უნდა ელტვოდეს და ნატრულობდეს მთელის ევროპის გაქელვასაო...“

იაკობ გოგებაშვილი სიამაყის გრძნობით იყო აღსავსე ქართველთა ამაღლებული პატრიოტობით, რომლისთვისაც ოდითგანვე უცხოა საკუთარი ბედნიერების სხვის უბედურებაზე აგების ცდაც კი, სხვისი დათრგუნვითა და დამცირებით საკუთარი თავის ამაღლება, რაც ცივილიზებული ერების მთავარ ნიშანთვისებას წარმოადგენს.

წერილში „ირლანდიის უთენდება“ იაკობ გოგებაშვილი ასე აგვიწერს თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული რუსეთის მახინჯ სულს: „... ჯერ კიდევ გონებას მახლაჯუნასავით აწევს საზარელი მკვლელობა გლეხთა განმათავისუფლებელი ხელმწიფისა თავისი საშინელი შედეგებითა; თვალებში უნებლიედ გილანდება ხუთი სუდარა სიმონოვის მოედანზედ, რომელნიც ჰფარავენ საშინელს სახეს ხუთის ინტელიგენტის სიკვდილისისა. ჯერ კიდევ მთელს ჩვენს სახელმწიფოში სუფევს სულის შემხუთავი და ტყვიასავით მძიმე ატმოსფერა... საიმედო, სწორე გასავალი ამ შემაძრწუნებელი ჰაობიდან ჯერედ არსაიდან სჩანს. ნამდვილს იმედს, მტკიცე სასოებას ჩვენში ფეხი ვერ მოუკიდნია. დიახ, რუსეთს ამაზედ უარესი აღდგომა თავის დღეში არ გასთენებია... მაგრამ, სანუგეშოდ, რუსეთი მხოლოდ ერთადერთი კუთხეა ხმელეთისა, ისიც კულტურულს ცენტრს მოშორებული. მხოლოდ ერთი ნაწილია კაცობრიობისა, ისიც მეტად უკან ჩამორჩენილი; და ბევრი სხვა კუთხეები, სხვა ნაწილები სრულიად სხვა სურათს წარმოგვიდგენენ. არა ერთს დაჩაგრულს ერს უთენდება დღეს ბედნიერი აღდგომა...“

იაკობ გოგებაშვილი იმედის თვალით შეჰყურებს ირლანდიის განთავისუფლებას ინგლისის ბატონობისაგან და სჯერა, რომ ეს მოძრაობა მთელს ევროპას მოიცავს.

იაკობ გოგებაშვილი ერთი მხრივ დიდად აფასებდა მოწინავე რუსეთთან ურთიერთკავშირს, მაგრამ ამავე დროს იმასაც აღნიშნავდა, თუ რაოდენ დიდ ზიანს აყენებდა რუსეთის ქვეშევრდომობა ჩვენს ქვეყანას: „...ყოველი სენი რუსეთისა ჩვენც უსათუოდ გადმოგვედება ხოლმე. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, იგივე არ ითქმის სიკეთის შესახებ. ბევრი სიკეთე რუსეთისა ჩვენ სიკეთედ არ გადაქცეულა, ბევრი რეფორმა კავკასიონის ქედს ვერ გამოსცილებია. ეს ქედი, ადვილი გადმოსალახავი ყოველი ცუდისათვის, გადმოუვალ საზღვრად შეიქმნება ხოლმე სიკეთის გადმონერგვისათვის. რუსეთმა მიიღო ერობა, ნაფიცთა სამართალი, დააარსა საგლეხო ბანკები და სხვანი. ჩვენ კი არც ერთი ეს დაწესებულება არ გვაღირსა, სკოლის შესახებაც შეიძლება ისევე მოხდეს. რუსეთში სკოლამ შეიძლება მოიპოვოს თავისუფლება, ჩვენებური სკოლა კი ისევ მონობის უღელ ქვეშ დარჩეს“.

სკოლის თავისუფლებისათვის თბილისელი პედაგოგების კრებას რუსეთში პარლამენტის დაწესება უნატრია. იაკობ გოგებაშვილს რუსეთისათვის პარლამენტი ღვთის წყალობად მიაჩნია; იგი ხელს შეუწყობდა რუსეთის წინსვლა-წარმატებას, განვითარებას, მაგრამ აქვე ეჭვს გამოსთქვამდა რომ ასეთ სიკეთეს რუსეთის პარლამენტი ჩვენს ერს ვერ მოუტანდა.

დიდი პედაგოგი თავისი შეხედულების დასამტკიცებლად ისტორიულ სინამდვილეს იშველიებს და მკითხველს მოუთხრობს, თუ როგორ შეავიწროვა ინგლისის პარლამენტმა ირლანდია. პრუსიისამ — პოზნანის პოლონელები, უნგრეთისამ — ხორვატელები და შემდეგ დასკვნას იძლევა: „...ყოველს პარლამენტში გამეფებულია მთავარის ერის ეგოისტური მიმართულება, ვიწრო ნაციონალიზმი, და ის ერი სარგებლობს თავისი დეპუტატების სიჭარბით, რათა შეავიწროვოს, შებორკოს, შეასუსტოს, დაამციროს და მიწასთან გაასწოროს შემოერთებულნი, რიცხვით მცირენი ერნი და სამაგიეროდ გააძლიეროს თავისი თავი, აღორძინოს, შემოერთებული ერების ავლადიდება თვითონ დაისაკუთროს და სიმსუქნით აავსოს“.

იაკობ გოგებაშვილი საქართველოს ხსნას ავტონომიის მიღებაში ხედავს, რომელიც ერს თავისუფლებას ანიჭებს და კულტურული განვითარებისათვის ფართო გზას უკვალავს. იგი საქართველოს ავტონომიის ხსენებით დამფრთხალ მამულიშვილებს ამხნევებს და სამართლიანად აღნიშნავს: „ავტონომია ხომ პოლიტიკურს განცალკევებას, რუსეთის ჩამოშორებას, სეპარატიზმს წარმოადგენსო, გაიძახიან სიტყვითაც და კალმითაც, გაიძახიან გარეულნი და შინაურნი. ეს ან უსუსურის გაუგებრობის ნაყოფია, ან ბოროტ-განზრახულობისა. ავტონომია არამც თუ სეპარატიზმს არ მოასწავებს, არამედ ძირ-ფესვიანად სთხრის და სპობს სეპარატიზმსა. სეპარატიზმი არის პირმშო შვილი ცენტრალიზაციისა, რომელიც სულს უხუთავს ეროვნებას და სულ იმას ანატრულებს, როდის იქმნება ამ ჩემს მტარვალს სახელმწიფოს თავი დავახწიო და ცალკე ვიცხოვროვო... ამგვარ ავტონომიას ითხოვს დაჟინებით, არა მარტო აწმდგომისა და მომავლის სიკეთე, არა მარტო დაუბრკოლებელი წინ მსვლელობა და კულტურული განვითარება ჩვენის ქვეყნისა, არამედ წარსულის ხმაც, ისტორიული სიმართლეც. წარსულის საუკუნის დასაწყისში საქართველო შეუერთდა რუსეთსა იმ პირობით, რომ იგი დარჩენილიყო ავტონომიურ ნაწილად საერთო სახელმწიფოსი და ჰქონოდა სრული შინაური თვით-მართველობა, ნაციონალური თავისუფლება და ყოფილიყო თავისი თავის ბატონი. დროა, რომ ეს პირობა სავსებით იქნას შესრულებული და მოისპოს საბუთი ქართველთა დრტვინვისა, მოისპოს მთელის საუკუნის უსამართლობა“.

იაკობ გოგებაშვილს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი საქართველოში ავტონომიის დამყარების პირველი შედეგები. მისი აზრით, საქართველოს მიენიჭება საკუთარი კანონმდებლობითი დაწესებულება, ადგილობრივი პარლამენტი, რომელიც საყოველთაო, პირდაპირი, საზოგადო და ფარულის კენჭის ყრით იქნება არჩეული. ეს ადგილობრივი პარლამენტი შეიმუშავებს, დაადგენს და გამოსცემს ყოველგვარ კანონს საქართველოს შესახებ, სკოლა ქართული იქნება, ქართული იქნება აგრეთვე ადმინისტრაცია და სამმართველო, ჩვენს ეკლესიას მიენიჭება სრული ავტოკეფალია, ეყოლება საკუთარი კათალიკოსი. ერთი სიტყვით, შინაური მმართველობა სავსებით ქართული იქნებაო.

იაკობ გოგებაშვილს სამართლიანად მიაჩნდა, რომ დამონებულ ერებში ცივილიზაცია ფეხს ვერ მოიკიდებს, დაბალია ხალხის გონებრივი პოტენციალი. როდესაც აკაკი წერეთლის დიდ ნიჭზე წერდა („იალბუზი ქართული პოეზიისა“) იქვე აღნიშნავდა, — აკაკი რომ ნორმალურს პირობებში და ნორმალურს სკოლაში აღზრდილიყო, იგი მსოფლიო გენიოსების რიგში საპატიო ადგილს დაიჭერდა, როგორც დაიჭირა პატარა, მაგრამ დამოუკიდებელი ნორვეგიის შვილმა იბსენმა. თვით ჩვენს ნიჭიერ ერს რომ ღირსებოდა ნორმალური პირობები, თუნდ ფინლანდიის თვითმმართველობა, აკაკიც კიდევ უფრო დიდებული მგოსანი შეიქმნებოდა, მაგრამ, „საუბედუროდ, ის, რაც ჩვენმა ერმა მეთვრამეტე საუკუნის დამლევს სასურველ ნავთსადგურად მიიჩნია, დახავსებული ჰაობი აღმოჩნდა, რომელშიაც ლამის ჩაიხრჩოს...“

იაკობ გოგებაშვილს ღრმად სწამდა, რომ ფართო განათლების მქონე ინტელიგენციის გარეშე ვერც ერთი ერი ვერ მიაღწევს თავისუფლებას. „ერი, რომელსაც წინ არ მიუძღვის და არ უკაფავს პროგრესის გზას რაზმი მძლავრისა და მრავლის ინტელიგენციისა, ადრე თუ გვიან წააგებს საარსებო ბრძოლასა და დაჰკარგავს თავის ადგილს ერთა შორის“, — წერდა იაკობ გოგებაშვილი და იქვე დასძენდა, რომ „ეს ჭეშმარიტება უნდა ყოველ წამს თვალწინ გვედგას და აღვიძებდეს ჩვენში მხნეობას და ენერგიას საფუძვლიანი განათლების გაძლიერებისათვის საქართველოს შვილთა შორის“.

იაკობ გოგებაშვილს გულს უკლავდა ცხოვრების უკუღმართობა, რომ ქართველი ერის ყოველი წევრი საარსებო უფლებას იყვნენ მოკლებულნი. იაკობის პატრიოტული სული ვერ ეგუებოდა ისეთ მომაკვდინებელ სენს, რომელიც ხალხს პირით შეპყრობილ პირუტყვთან და ნახირთან ათანასწორებს და მომავალს უსპობს. იგი გამოფხიზლების ზარს აახმიანებდა ხოლმე ჩვენი ერის მოღვაწეებისა და მწერლების მისამართით, სამშობლოს თავისუფლებისა და თვითმყოფადობისათვის ბრძოლის სარბიელზე უხმობდა მათ.

იაკობ გოგებაშვილი თანამემამულეებისაგან ითხოვდა, რათა გულმხურვალე მამულიშვილობა გამოეჩინათ და წვრილმან პრობლემებს კი არ გადაყოლოდნენ, არამედ წინ აღდგომოდნენ ერის დამხობის უმთავრეს მიზეზებს. დიდი ერისკაცი სასტიკი წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ძალადობისა, ვინაიდან იგი ამ უკანასკნელს ხალხთა განათლების, ცივილიზაციის დამთრგუნველ სენად თვლიდა. მას მხედველობაში ჰქონდა ბიუროკრატიული რუსეთის შოვინისტური მისწრაფებები მცირე ერების გარუსება-გადაგვარების საქმეში.

ერის ბედნიერება ბევრად არის დამოკიდებული მის მეთაურზე, თუ როგორი გულმხურვალე პატრიოტი მიუძღვება მას თავისუფლების გზაზე. „გიყვარდეს ერი, რომელსაც მართავ და გაიცან ერი, რომელსაც მოხელეობო“, — მოუწოდებდა დიდი პედაგოგი ერის წინამძღოლთ. მისი სიტყვები დღესაც განსაკუთრებული აქტუალობით ჟღერს: „...მართვა და გამგეობა ერისა შეუძლებელია, თუ გამგებელმა ყოველთ უწინარეს არ გამოირკვია მთელი ვითარება ერისა, მისი ავი და კარგი იმ სიყვარულით და გულმტკივნეულობით, ურომლისოდაც ყოველივე მეცადინეობა და ღვაწლი უქმია და ურგებელი... ერის გულში ადგილის დაჭერა ტყვია-წამალზე, თოფ-ზარბაზნზე უფრო შემძლებელია და საქმე მხოლოდ ამ გულის მოპოვება და შეძენაა.“

იაკობ გოგებაშვილის ღრმა რწმენით ერმა შეიძლება ბრძოლა წააგოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ბელადად, ხელმძღვანელად ეყოლება გზადაბნეული, ორჭოფა ინტელიგენტი.

დღეს იაკობის მოძღვრებაზე აღზრდილი ჩვენი ახალგაზრდობა არაფერს არ იშურებს თავიანთი წინაპრების სანუკვარი ოცნების — საქართველოსათვის თავისუფლების, დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის.

**ზურაბ ბოცვაძე,**
**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

**ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება დემოგრაფიულ ფონდში.**

# ლოტბარი, პედაგოგი, მოღვაწე

ცნობილ საგუნდო დირიჟორსა და მუსიკის პედაგოგს დურმიშხან გოდერძიშვილს სიყრმიდან ვიცნობ. ერთად ვმღეროდით თელავის სასკოლო გუნდებში. ხალხური სიმღერით გატაცებამ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეები ასევე ერთად მიგვიყვანა ხალხური სიმღერისა და ცეკვის თელავის სახელმწიფო ეთნოგრაფიულ ანსამბლში, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ნიჭიერი ლოტბარი და მრავალი სიმღერის ავტორი ფირუზ მახათელაშვილი. თავის დროზე ამ პოპულარულ ანსამბლში მღეროდნენ რესპუბლიკაში აღიარებული ხალხური სიმღერის ოსტატები: გიორგი ამუზაშვილი, შაქრო ლომიძე, გიორგი ფეიქრიშვილი, ეფრემ ამირეჯიბი, კოტე ბაჩიაშვილი, შალვა მარკოზაშვილი, ავთანდილ შაშურაშვილი და სხვები.

აი, ამ ნიჭიერ სახალხო მთქმელებთან ეზიარა დურმიშხანი უძველეს სასიმღერო შედევრებს. ეს იყო მომავალი ლოტბარის პირველი სერიოზული სიღრმისეული გაცნობიერება ერის სულიერ საგანძურთან. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ დურმიშხან გოდერძიშვილის შემდგომი ბედი საბოლოოდ დაუკავშირდა ქართულ საგუნდო ხელოვნებას. 1950-იან წლებში ისევ ერთად მოგვიწია პროფესიული მუსიკალური განათლების მიღება ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ცენტრალური მუსიკალური ათწლედის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაზე, რომელსაც სათავეში ედგა საგუნდო საქმის კარგი მცოდნე, ღრმად განსწავლული პროფესიონალი მუსიკოსი გიორგი ხახანაშვილი.

პროფ. გ. ხახანაშვილი იყო უაღრესად მართალი, მკაცრი, მომთხოვნი და ამასთან ერთად გულითადი, კეთილშობილი, ნამდვილი მზრუნველი. ვერ იტანდა ყალბ ნოტს ვერც მუსიკაში ვერც ადამიანში. უაღრესად აფასებდა სიმართლეს, პატიოსნებას. შრომისმოყვარეობას. თავს ევლებოდა ყველა ამ მონაცემების მქონე ახალგაზრდას.

დ. გოდერძიშვილი ერთ-ერთი იმათგანი იყო, რომელიც გამორჩეოდა ყველა ამ თვისებითა და პროფესიის ღრმად დაუფლების წყურვილით. ამიტომაც იგი გ. ხახანაშვილის ერთ-ერთ საყვარელ მოსწავლედ ითვლებოდა ათწლედშიც და თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორიაშიც.

დურმიშხანმა თავისი შრომისმოყვარეობით, საგუნდო ხელოვნების პროფესიული ცოდნით იმთავითვე მოიპოვა აღიარება. ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, როდესაც იგი კონსერვატორიის დამთავრებისთანავე დანიშნეს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ლოტბარად.

დიდი ნაყოფიერებით აღინიშნა დ. გოდერძიშვილის შემდგომი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სხვა გაზეთებიდან**

# პლეიბოი ნიკუ, რომელიც მხოლოდ მოვალეობას ასრულებდა

ადრე, როცა მისი მშობლები ჯერ კიდევ მართავდნენ რუმინეთს, ნიკუ ჩაუშესკუსთან შეღწევა ძალზე ძნელი იყო. ეს არც ახლაა ადვილი, როცა ის, როგორც ხალხის მტერი, გისოსებს მიღმა იმყოფება. ახლა მასთან შეხვედრის ნებართვის გაცემა მხოლოდ ბუქარესტის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარეს, გენერალ ნისტორის შეუძლია.

გენერლის მისაღებში მაგიდასთან მდივანი ქალი ზის და ფანქრებს თლის. მის ზურგს უკან ზესწრაფი მიშხანებით შეიარაღებული ორი გუშაგი დგას. ჩვენი თარჯიმანი მდივანს ხელზე კოცნის აიუდას ციხეში ზის და გენოციდსა და იარაღის უნებართვოდ ტარებაში ედება ბრალი. თუ დანაშაული დაუმტკიცდა, სამუდამო პატიმრობა ემუქრება. მისი სასამართლო სიბიუში გაგრძელდება, სადაც ის რევოლუციამდე ხელმძღვანელობდა პარტიულ ორგანიზაციას, მამის ნაცვლად განაგებდა ნახევარმილიონი ადამიანის ბედს.

ციხის შესასვლელთან ნიკუ ჩაუშესკუს ადვოკატს პაულა იაკობს ვხვდებით. ნიკუ მას ენდობა. ადვოკატი სამკურნალო ჩაით სავსე ბაკს მოათრევს ნიკუსათვის. მისი აზრით, ნიკუ მძიმედაა ავად და უკვე აღარ აქვს იმედი, რომ ციხიდან ცოცხალი გამოვა. პაულა იაკობი ამას თვალცრემლიანი გვიყვება და გვთხოვს, რომ მას უბრალოდ „მადამ პაულა" დავუძახოთ, ცხელა და ეს ხორბა ქალბატონი მარათონი ითქვამს სულს. ადვოკატს და ეუბნება: „მადამ პაულა, რატომ არ მარგუნა ბედმა თქვენნაირი დედა?!".

ხიბიუში, სამხედრო ტრიბუნალის წინაშე პაულა იაკობი ძუ ლომივით ბდღვინავდა ნიკუს დასაცავად, ფსიქიატრიულ ექსპერტიზას მოითხოვდა, მაგრამ მისი შუამდგომლობა უარყვეს. „უნდა ამოვიდეთ იქიდან, — გადაწყვიტა სასამართლომ — რომ ისეთი ადამიანი, როგორიცაა ნიკუ ჩაუშესკუ, რომელსაც საკმაოდ დიდხანს ეკავა ქვეყანაში მაღალი პოსტი, სულიერად ჯანმრთელია. ამიტომ მსგავსი გამოკვლევა დროის უაზრო ხარჯვაა".

როცა დიქტატორის შვილიკო საკუთარ სასამართლოზე ლაპარაკობს, უმალ ღელავს და ყვითელი, სარეკლამობურთულიანი კალმის ქნევას იწყებს. გენოციდში მისი დადანაშაულება? ეს ხომ აბსურდია. მას ყოველთვის ამოძრავებდა სი-

და „კენტის" კოლოფს აწვდის. პასუხად ის გვაუწყებს, რომ უმჯობესია გენერალს ასე მიმართოთ: „თქვენო უდიდებულესობავ", ის ამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებსო.

როგორც ჩანს, იმ დღეს „უდიდებულესობა" კარგ ხასიათზე ბრძანდებოდა. ის გვერდზე სწევს ჩვენს ბიოგრაფიებს, რომლებიც პატიმართან შეხვედრის შუამდგომლობისათვის უნდა დაგვერთო. ასე რომ, ნებართვაზე ბეჭდის დასმაღა რჩება. ბეჭედი კი სეიფში ინახება. მაგრამ მოულოდნელად ირკვევა, რომ თანამშრომელი, ვის განკარგულებაშიცაა სეიფი, შვებულებაში წასულა და სეიფის გასაღებიც თან წაუღია. ეს მკვეთრად ცვლის გენერლის განწყობილებას. ის უმალ მდივან ქალს აცხრება. ზესწრაფი მიმხანებით შეიარაღებული შეშინებული გუშაგები კედელს ეკვრიან.

მოდის კარის მცველი ხელსაწყოების მთელი ნაკრებით და ყველანაირად ცდილობს კარის გატეხვას, მაგრამ მხოლოდ ჩაქუჩით თითების დათეთქვას ახერხებს. გენერალი ახლა მას ლანძღავს, ხელიდან გლეჯს ჩაქუჩს და თავად აგრძელებს საქმეს. სეიფის კარი ვეღარ უძლებს შეტევას და „ნებდება", ჩვენ კი ბეჭედდასმულ ნებართვას გადმოგვცემენ.

დიქტატორის ვაჟს ქვეყანაში ლამის ლეგენდარული დიდება ჰქონდა. საზღვარგარეთაც მსხვილი შრიფტებით იბეჭდებოდა მისი თავგადასავლების შესახებ. იმ დროს, როცა მამა სულ უფრო აკაბალებდა, ძარცვავდა და ავიწროებდა თავის ქვეშევრდომებს, ნიკუ სოციალისტური პლეიბოის ცხოვრებას ეწეოდა. დადიოდა ხმები, რომ ყოველდღიურად მასთან სამი ქალი მაინც იყოფდა სარეცელს, ხშირად საკუთარი ნების წინააღმდეგაც. მონტე-კარლოში ის მილიონობით თანხებს აგებდა და საფულის შესავსებად ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გაყიდა ქვეყნის ყველაზე ჯიშიანი ცხენების რემა. რუმინეთიდან გაქცეული საიდუმლო სამსახურის ოფიცერი პაჩეპა იხსენებს, რომ ჩაუშესკუს ნიშიერის საყვარელი გასართობი იყო ხამანწებაზე მოშარდვა და შემდეგ ამით სტუმრების გამასპინძლება.

ახლა ასეთ გასართობებს ბოლო მოეღო. 38 წლის ნიკუ ჩაუშესკუ

პატიმარი ნიკუ მომსვლელთა მისაღებ შენობაში გველოდება. მისი ბადრაგი მოშორებით დგას მოწიწებით. ნიკუს ჯინსი და მწვანეზოლებიანი თეთრი პერანგი აცვია და მზის სათვალე უკეთია. ჩვენ, ცხადია, არაერთხელ გვინახავს მისი ფოტოები პრესაში. ნიკუ გვეკითხება, ძალიან შეიცვალა თუ არა — მან ხომ ციხეში 15 კილოგრამი დაიკლო. მისი ჯანმრთელობის საქმე მართლაც ცუდადაა. შარშან, დეკემბერში, დაპატიმრებისას ის დანით დაჭრეს მუცელში. ექიმებმა, რომლებმაც მას ოპერაცია გაუკეთეს, ღვიძლის ციროზი დაუდგინეს და თქვეს, რომ მდგომარეობა უიმედოა, აქ კი, ციხეში, ყველაფერთან ერთად, არც წამლებია, არც ვიტამინები და საჭმელიც საძაგელია — ერთი და იგივე საშინელი სუპი და მხოლოდ ღორის ხორცი. ეს კი მისთვის ნამდვილი საწამლავია.

რაც შეეხება დანით დაჭრას, ამის გაგება მას კიდევ შეუძლია, მაგრამ დაპატიმრებისას ოქროს საათი რატომღა მოპარეს? ვერაფერს იტყვით, კარგი ვინმეები არიან ეს რევოლუციონერები!

საუბარი მისი მშობლების სიკვდილს ეხება. მათი დახვრეტის ამბავი საავადმყოფოში გაიგო რადიოთი, შობის პირველ დღეს. მათ სიკვდილზე ისე ლაპარაკობს, თითქოს ეს ვიღაც უცხო ადამიანებს შეეხებოდეს: „არ ვიცი, იყო კი საჭირო მათი დახვრეტა? დღემდე ვერ გამიგია, მაინც რაში დაადანაშაულეს ისინი. მაგრამ რაღა აზრი აქვს ლაპარაკს, რაც მოხდა, მოხდა!"

ნიკუ ბებიასთან გაიზარდა, მშობლებს იშვიათად ხედავდა: „მე ჩემი პრობლემები მქონდა, იმათ — თავისი". მამა მისთვის პირველ რიგში ქვეყნის მეთაური იყო, ვისაც, როგორც ყველა სხვა, ისიც უნდა დამორჩილებოდა. რაც შეეხება დედას, ის მოგვიანებით, როცა მოწიფული ნიკუ რაიმე სისულელის ჩადენას გაბედავდა, უმალ შინაგან საქმეთა მინისტრს მიუსევდა ხოლმე შვილს. საუბარში ადვოკატი ერთვება: „ის ხომ არაა დამნაშავე, რომ ასეთ ოჯახში დაიბადა. ნიკუ დიდი ბავშვია, რომელსაც მთელი ცხოვრება ეშინოდა საკუთარი მშობლებისა". აქ ჩაუშესკუ-უმცროსი მადლიერების ნიშნად ხელზე ხელს უჭერს

ყვარული საკუთარი ხალხის მიმართ. იმას კი, ვინც უყვართ, არ კლავენ. ის მზადაა ყველას მოუყვეს, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში შარშანდელ 17 დეკემბერს, როცა ქვეყანაში რევოლუცია დაიწყო.

დილით ნიკუ მეგობრებთან ერთად სანადიროდ უნდა წასულიყო, მაგრამ სმაში ისე გაერთნენ, რომ ნადირობა ჩაიშალა, მას კი მანქანაში მოუხდა გამოძინება; საღამოს ხუთ საათზე მამამ დაურეკა ბუქარესტიდან. მან ტელეფონით ჩაუტარა დაუსწრებელი კონფერენცია ყველა რაიკომის მდივანს. ჩაუშესკუმ აუწყა საკუთარი გადაწყვეტილება — გამოეცხადებინათ საგანგებო მდგომარეობა და უბრძანა, რომ წინასწარი გაფრთხილების შემდეგ სროლა დაეწყოთ.

მაშ რატომ ჩათვალა საჭიროდ სიბიუში მყოფმა შვილმა მამის ბრძანების გამკაცრება (როგორც ეს მოწმეებმა აღნიშნეს სასამართლოზე) და სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება? რატომ გასცა ბრძანება, უმალვე, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაეწყოთ სროლა? „ეს ყველაფერი უბრალო გაუგებრობაა" — ჩვენს დაჯერებას ცდილობს ნიკუ ჩაუშესკუ. ის თითქოსდა დარწმუნებული იყო, რომ ჯანყი უცხოეთის ხელისუფლების წამოწყებულია და ბრძანა მხოლოდ უცხოელებისათვის ესროლათ და არამც და არამც საკუთარი ხალხისათვის.

როგორც სასამართლოზე განაცხადა იარაღის საწყობის გამგებელმა ოფიცერმა, რევოლუციის მომდევნო დღეებში სიბიუსა და მის შემოგარენში სხვადასხვა კალიბრის მილიონზე მეტი ტყვია გაიხარჯა. ნამდვილ სასწაულად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამ სროლის დროს მხოლოდ ასამდე ადამიანი დაიღუპა.

თუმცა ამ საგანგებო დღეებში ნიკუ ჩაუშესკუს სულ სხვა, მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი საზრუნავიც ჰქონდა. სწორედ იმ მომენტში მაროკოდან მეგობრულ შეხვედრის შემდეგ დაბრუნდა ადგილობრივი ფეხბურთელთა გუნდი. „სუვენირების" განსაკუთრებული სიმრავლის გამო ფეხბურთელები საბაჟომ დააკავა ბუქარესტის აეროპორტში. განა შეეძლო მას ბედის ანაბრად მიეტოვებინა თავისი მეგობრები?

ეს მისთვის მძიმე დღე იყო. დილიდან სმა, შემდეგ რევოლუცია და ყველაფრის დამაგვირგვინებლად კიდევ ეს ნერვების აშლა საბაჟოში...

ციხის უფროსი ოთახში, სადაც ჩვენი შეხვედრა ხდება, ვაშლებით სავსე ვაზას და მინერალურ წყალს გვიგზავნის. დიქტატორის ნაშიერი სათვალის ზემოდან ყოველივე ამას მელანქოლიურად დასცქერის და გვიცხადებს, რომ იგი ყოველთვის უწვდიდა დახმარების ხელს ადამიანებს. თავად კი ახლა სრულიად მარტო დარჩა. არავინ ნახულობს; არც ყოფილი თანამეინახეები, აღარც მეგობარი გოგონები, თვით ნათესავებიც კი აღარ მოდიან. მაგრამ, შესაძლოა, ეს უკეთესიცაა. როგორც იქნა, გამოუჩნდა ფიქრისა და განსჯის დრო.

თავისი ადვოკატის წყალობით მან შესძლო ბერძენი ფილოსოფოსების ნაშრომების მიღება. მათმა ყოველდღიურმა კითხვამ დაარწმუნა, რომ მარქსიზმი მცდარ გზას გვიჩვენებს. ეს გზა ყოველთვის დიქტატორებს შობდა, არადა, თუ რამდენად ცუდია მთელი ძალაუფლების ერთი ადამიანის ხელში თავმოყრა, ამაში ის საკუთარი მამის მაგალითმა დაარწმუნა. ორ-სამჯერ კიდეც შეეცადა დალაპარაკებოდა მას, სთხოვა, გაეუმჯობესებინა მოსახლეობის მომარაგება ხილით, ზამთარში კი გათბობით უზრუნველეყო, მაგრამ მამას ამის გაგონებაც კი არ უნდოდა, იქნებ მან, ნიკუმ, ძალზე სწრაფად აღიარა თავისი მცდელობის ამაოება? „მაგრამ, იცით, მე ხომ მებრძოლი არა ვარ, მე დამყოლი ადამიანი ვარ, დამთმობი, შეიძლება სწორედ ეს არის ჩემი ძირითადი ნაკლი".

როგორც აღმოსავლეთის ბლოკის ბევრი სხვა კომუნისტური ფუნქციონერი, ნიკუ ჩაუშესკუც ელვისებურად გარდაიქმნა და ახლა აცხადებს: „საჭიროა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, თითოეულ ადამიანზე, ინდივიდუმზე ვიფიქროთ", ახლა, მადლობა ღმერთს, რუმინეთში ბოლოს და ბოლოს თავისუფალი არჩევნები ტარდება. ნიკუმაც, მიუხედავად ციხეში ყოფნისა, სრულიად თავისუფლად მიიღო მონაწილეობა ამ არჩევნებში, რასაც გროტესკული ხასიათი ჰქონდა — მან ხმა მისცა ილიესკუს და ეროვნული ხსნის ფრონტს.

ნუთუ ყოველივე იმის შემდეგ, რაც რუმინეთში მოხდა, დანაშაულის გრძნობა იოტისოდენადაც არ აწუხებს? ამ კითხვას ნიკუ ჩაუშესკუ თავზარდამცემი ფრაზით პასუხობს, რომელიც მანამდე ძალაუფლების ბოროტად გამომყენებელი არაერთი პირისაგან მოგვისმენია: „მე ყოველთვის მხოლოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებდი". ამასთან დასძენს იგი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისიც დაზარალდა — მძიმედ დაიჭრა, გარდა ამისა საათი მოპარეს, ჩვენ, ცხადია, არც ის ვიცით, თუ რა საშინელი ბედი ეწია მის საყვარელ ძაღლს, დოლის — ნიკუს დაპატიმრების შემდეგ ის გარაჟში ჩაკეტეს და შიმშილით სიკვდილისათვის დყო გაწირული. განა ეს ჰუმანურია?

არა, მას, შვილს ვერ დააკისრებ პასუხისმგებლობას მშობლების ნამოქმედარზე: „თუ რუმინეთში მართლა მოხდა სულ ოდნავი ცვლილებები მაინც და სასამართლო წინასწარი განზრახვის გარეშე ჩატარდება, მე უდანაშაულოდ უნდა მცნონ".

დამშვიდობებისას ნიკუმ გვთხოვა სიგარეტები დაგვეტოვებინა...

**ხაიკო კებჰარდტი**

**დასავლეთგერმანული ჟურნალი „შტერნი".**

**(იბეჭდება შემოკლებით, „ლიტერატურნაია გაზეტა" № 32, 1990 წ.)**

# ინტერესი ქართველ ქალთა კინემატოგრაფიისადმი

ფლორენციაში მომავალი წლის მარტში გაიმართება საქართველოს კულტურის დღეები. ისინი მოეწყობა ტრადიციული საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში. ფორუმის მონაწილეებსა და სტუმრებს უჩვენებენ რესპუბლიკის კინემატოგრაფისტ ქალთა მიერ შექმნილ ფილმებს. იტალიაში მიიწვევენ რეჟისორ, სცენარისტ და მსახიობ ქალებს. მოეწყობა ახალგაზრდა ქართველ მხატვარ ქალთა ნამუშევრების გამოფენა, გამოვლენ ვოკალური კოლექტივები. დღეების პროგრამაში ნავარაუდევია შეიტანონ ქართული სამზარეულოც.

ამაზე ისაუბრეს კულტურის დღეების მოწყობის ინიციატორებთან — ფლორენციის კინოფესტივალის დირექტორებთან პაოლა პაოლისა და მარისა დარკანჯელოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვაჟა ლორთქიფანიძის შეხვედრისას, სტუმრები რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ კინოსტუდია „ქართული ფილმის" მოწვევით, რათა მოემზადონ იტალიაში ფესტივალის მოწყობისათვის, აგრეთვე მოლაპარაკება გამართონ იტალიასა და საქართველოს შორის პირდაპირი კულტურული და ეკონომიკური კავშირურთიერთობის შემდგომი გაფართოების მიზნით.

ვაჟა ლორთქიფანიძემ საქართველოსა და იტალიის მზარდი კონტაქტების გამო სხვადასხვა დარგში კმაყოფილება გამოთქვა, აღნიშნა, რომ მათ საუკუნოვანი ტრადიციები აქვთ, რომ რესპუბლიკის მთავრობა სავსებით მხარს უჭერს იტალიის კინოს მოღვაწეთა ინიციატივას და მზად არის ყოველნაირად დაეხმაროს მათ ამგვარი დღეების მოწყობაში, რომელიც ხელს შეუწყობს არა მარტო ქართული კულტურის, ქალთა კინემატოგრაფის პოპულარიზაციას, არამედ ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებასაც. საუბრის დროს აღინიშნა, თუ რაოდენ დიდ ინტერესს იჩენენ საქართველოში იტალიის კულტურის, ისტორიის და ლიტერატურისადმი. ითქვა, რომ თბილისში ნავარაუდევია გაიხსნას იტალიის კულტურული ცენტრი.

იტალიელმა სტუმრებმა აღნიშნეს საქართველოს რეჟისორ ქალთა მიერ შექმნილი კინოფილმების პოპულარობა. მათ გამოთქვეს სურვილი დაამყარონ ეკონომიკური კავშირურთიერთობაც რესპუბლიკის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან, კერძოდ, მონაწილეობა მიიღონ პროფესიული ტურიზმის განვითარებაში. საუბარში მონაწილეობდა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, რეჟისორი ლანა ღოღობერიძე.

საქინფორმი

ღვაწეობა. სხვადასხვა დროს იგი ხელმძღვანელობდა წალენჯიხის, ქარელის სარაიონო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებს. ხალხური და პროფესიული საგუნდო მუსიკის პოპულარიზაცია მისი ცხოვრების მიზანი გახდა.

სხვადასხვა დროს არაერთი დიდი და მცირე შემადგენლობის ანსამბლი შექმნა და გარკვეულ პროფესიულ დონესაც მიაღწია. მათ შორის დავასახელებ ისეთ ორგანიზაციებსა და რაიონებს, სადაც საგუნდო ანსამბლების შექმნის ტრადიცია თითქმის არ ჰქონდათ. ასეთად მიმაჩნია თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ასურეთის ვოკალური ანსამბლი, საქმედმუშაკთა დამოუკიდებელ პროფკავშირებთან შექმნილი ანსამბლი „აქიმი".

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია აგრეთვე ვაჭრობის კულტურის სახლთან არსებულმა ანსამბლმა და მრავალმა სხვამ. სწორედ ამ ანსამბლებში გამომჟღავნდა დ. გოდერძიშვილის ორგანიზაციული და პროფესიული უნარი.

დავასახელოთ 1957 წლის სტუდენტთა და ახალგაზრდობის მე-6 მსოფლიო ფესტივალში მონაწილეობა და აღიარება, მრავალ საკავშირო და რესპუბლიკურ ფესტივალებში გამარჯვება და სხვა.

განსაკუთრებით მინდა, გამოვყო დ. გოდერძიშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სამუსიკო სკოლებსა და სასწავლებლებში. ნაყოფიერ აღმზრდელობით საქმიანობასთან ერთად, რომელიც ძირითადად ახალგაზრდა დირიჟორლოტბარების დაოსტატებას ხმარდება, ცალკე აღნიშვნის ღირსია მოსწავლე-სტუდენტების გუნდების შექმნა. მიმაჩნია, რომ სწორედ ასეთ სამოსწავლო გუნდებში უნდა ყალიბდებოდნენ მომავალი პროფესიონალი მომღერლები, დირიჟორები, კომპოზიტორები.

სწორედ ასეთ ანსამბლებში უნდა შეიგრძნოს ახალგაზრდობამ მშობლიური სასიმღერო ინტონაციის, ჰარმონიის მადლი და ეროვნული სული. ამ მხრივ, არ შეიძლება, არ ვახსენოთ თბილისის მე-2 სამუსიკო სასწავლებელში წლების მანძილზე მის მიერ შექმნილი გოგონების ანსამბლი „მანდილი".

ეს ანსამბლი მრავალგზის გამოსულა საქართველოს ტელევიზიით, მონაწილეობა მიიღო მსოფლიო, საკავშირო თუ რესპუბლიკურ მრავალ საღამო-შეხვედრებში, აღიარებას მიაღწია ესთეტიკური აღზრდისადმი მიძღვნილ მე-9 საერთაშორისო მოსკოვის კონფერენციაზე. ფირმა „მელოდიამ" გამოსცა ამ ანსამბლის ფირფიტა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია დ. გოდერძიშვილის მიერ შედგენილი და გამოცემული ხალხური სიმღერების კრებულები, რომლებიც გათვალისწინებულია მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის. ჩემი ღრმა რწმენით, ეს კრებულები აუცილებელია ხელახლა გამოიცეს. ისინი ყოველდღიურ სახელმძღვანელოდ გამოადგება ქართული ხალხური სიმღერით დაინტერესებულ ყველა ახალგაზრდას.

**სოლომონ ლაფაური,**

**საქართველოს ტელევიზიის მუსიკალური პროგრამების მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი.**

ალორძინება

გვერდის სპონსორები არიან საქველ-მოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „ამგი“

# მძევლები გაანთავისუფლეს



სოხუმი, (საქინფორმის კორ. თენგიზ ჯიბუტი). 15 აგვისტოს, შუადღისას, წარმატებით დამთავრდა იმ მძევალთა გამოხსნის ოპერაცია, რომლებიც აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოხუმის დროებით იზოლატორში ჰყავდათ ჩაგდებული ხელში აქ მყოფ დამნაშავეებს. ოპერაციაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარების სპეციალიზებული ქვეგანაყოფის შემპყრობი ჯგუფი და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები. ოპერაციის დროს დაიჭრა სამი დამნაშავე და ერთი მილიციის თანამშრომელი. დაჭრილებს უწევენ სამედიცინო დახმარებას.

## დაგვიანებული ფოტოინფორმაცია





## მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

### ძიუდო

უჩემპიონოდ დარჩა საქართველოს ნაკრები გუნდი ძიუდოისტთა ტურნირის პირველ დღეს, რომელიც დაიწყო თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ჭიდაობის სკოლის დარბაზში. ჩვენი ახალგაზრდა ფალავნების აქტივშია თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი.

რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ ამჟამად საქართველოს ძიუდოისტები. მათ ძირითად ფავორიტებად მიიჩნევენ გუნდურ ბრძოლაში. თვით ბიჭებსაც სურთ რაც შეიძლება კარგად გამოვიდნენ, მით უმეტეს, რომ მათმა თანატოლებმა — რესპუბლიკის თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეთა, აგრეთვე სამბისტთა ნაკრებმა გუნდებმა უკვე მოიპოვეს გამარჯვებები ამ სპარტაკიადაზე.

ასპარეზობის პირველ დღეს ჭაბუკებმა გაითამაშეს ჯილდოები ორ წონით კატეგორიაში. საქართველოს. გუნდი წარმოდგენილი იყო ერთ მათგანში. მას არ გამოუყვანია სპორტსმენი 49 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთ-ერთ უფრო მძიმე წონით კატეგორიაში ჩვენს ნაკრებს წარმოადგენს ორი მონაწილე.

ბრძოლის დაწყება პირველს მოუწია 16 წლის ქუთაისელ ალეკო წიქორიძეს, რომელიც გამოდიოდა 53 კილოგრამამდე წონაში. ძიუდოისტმა მოიპოვა ოთხი გამარჯვება და ამასთან უჩვენა კარგი ტექნიკა. ფინალში გადამწყვეტი ორთაბრძოლა უზბეკეთის გუნდის წევრთან სოჩნამბეკ ოზამბაევთან ჩვენმა ძიუდოისტმა დაიწყო ასევე აქტიურად და მას ჰქონდა უპირატესობა ქულებით. მაგრამ წინდაუხედაობამ დაალალატა წიქორიძე. მან წუთით მოადუნა სიფხიზლე და წამოეგო მეტოქის ელვისებურ კონტრილეთს. მსაჯმა უზბეკი სპორტსმენის ვადამდე გამარჯვება დააფიქსირა. ბრინჯაოს მედლები აქ მოიპოვეს აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა იმან მამედოვმა და ნურლან ალიევმა.

49 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა რუსეთის სფსრ გუნდის წევრი სამველ ვარდანიანი, რომელმაც ფინალში დაამარცხა თავისი თანაგუნდელი ანდრია გოდოვნიკოვი. მესამე პრიზიორები გახდნენ მოლდოველი მიხეილ ტანუ და აზერბაიჯანელი ულდუზ სულთანოვი.

გოგონებმა ასევე გაითამაშეს ჯილდოების ორი კომპლექტი, ჩვენმა ნაკრებმა გუნდმა კი მარტო ერთი მონაწილე გამოიყვანა. 42 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ასპარეზობაში ჩაება 15 წლის თბილისელი მოსწავლე თეა ჩანტლაძე. იგი უკვე გახდა სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გოგონათა შორის და სპარტაკიადის ტურნირზე ამ მიღწევის გაუმჯობესების დიდი იმედი ჰქონდა. მაგრამ ეს არ მოხდა. თეა ამჯერადაც მესამე ადგილზე აღმოჩნდა. მას და აზერბაიჯანის გუნდის წარმომადგენელს მარინე გვოზდევას ბრინჯაოს მედლები გადაეცათ. ფინალში კი მოსკოველმა ნატალია მეფოდიევამ დაამარცხა აზერბაიჯანის ნაკრების მეორე წარმომადგენელი გიულნაშ შირიანოვა. 45 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში ოქროს მედლებისათვის იბრძოდნენ ამიერკავკასიის ამ რესპუბლიკის ძიუდოისტი გოგონები: ინგა სოკოლოვსკაიამ დაამარცხა ნატონეთ სულეიმანოვა. აქ მესამე პრიზიორები გახდნენ რუსეთის სფსრ გუნდის წევრი ელენე მაზუროვა და თურქმენეთის წარმომადგენელი კატერინა ასადულაევა.

სპარტაკიადის ძიუდოისტთა ტურნირი 26 აგვისტოს დამთავრდება.

### წყალბურთი

უდანაკარგოდ განაგრძობენ წყალბურთელთა ტურნირს ქართველი მოსწავლეები. მეოთხედფინალური ჯგუფის პირველ მატჩში მათ დაამარცხეს სომხეთის გუნდი ანგარიშით 11:7 და ახლა მათ ოთხი ქულა მოაგროვეს, რომელთაგან ორი ჩვენმა ბიჭებმა წინასწარ შეხვედრებში მოიპოვეს.

ამავე ჯგუფში 4 ქულა მოაგროვა ყაზახეთის გუნდმა, რომელმაც მოუგო ტაჯიკეთის ნაკრებს — 9:3. ამრიგად, საქართველოსა და ყაზახეთის ნაკრები გუნდების შეხვედრაში გამოვლინდება ჯგუფის გამარჯვებული. მეორე ჯგუფში ასევე უდანაკარგოდ გამოდის მოსკოვის გუნდი, რომელმაც მოუგო მოლდოვის ნაკრებს — 7:5. ამავე ჯგუფში გამოდიან უკრაინისა და აზერბაიჯანის გუნდები. მათი შეხვედრა დამთავრდა უკრაინელ მოსწავლეთა გამარჯვებით — 10:6.

როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, მეოთხედფინალურ ჯგუფებში შევიდნენ საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის გუნდები და, რაც მთავარია, ისინი თანაბარი ძალისა და პერსპექტივისა არიან. ყოველ გუნდში არიან ისეთი მოთამაშეები, რომლებიც შეიძლება გახდნენ წყალბურთის ვარსკვლავები. მაგრამ თითქმის ყველა გუნდის მწვრთნელმა თავი შეიკავა დაესახელებინა ყველაზე ნიჭიერი ბიჭები და პირობა მოგვცეს, რომ ეს მოხდება ტურნირის შემდეგ, როცა განმარტავენ კიდეც მის შედეგებს. ისლა დაგვრჩენია დაველოდოთ ფინალს, რომელიც დღეს გაიმართება.

საქინფორმი

ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალების ჰონორარი გადაირიცხება. სოფ. ბუჯაბის მშენებლობის ფონდში, ასოციაცია „ალორძინების“ ანგარიშზე 100700008 მთაწმინდის რაიონის მინსოცბანკში.

ახალგაზრდა ივერიელი
Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 93-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, გ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით სავაჭრო კორპუსში, ხოშარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
გ. კოსტავას ქ. № 14.